

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლება“

**დოქტორი ია**

**ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკის კვლევა  
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე  
(ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე)**

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,  
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ნათია ფურცელაძე,  
ქართული ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტი,

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თბილისი

2019

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკის კვლევას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე).

დღევანდელ, მუდმივად ცვალებად სამყაროში, უმნიშვნელოვანესია საკითხის მრავალმხრივი ცოდნა, დისციპლინათა მიღმა ცოდნის სინთეზირება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, თანამშრომლობითი უნარების განვითარება და მათი საშუალებით პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შესაბამისად, **აქტუალურია**, ვიკვლიოთ ამ უნარების განვითარების გზებისა და საშუალებების პრაქტიკაში რეალიზების საკითხები.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: სასწავლო დისციპლინები მხოლოდ შიდასაგნობრივი შინაარსის სწავლებაზე არიან ორიენტირებულნი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ტარდება ცოდნის ინტეგრაციისათვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ინტეგრირებული გაკვეთილები.

ნაშრომის კვლევის **საგანია** ინტეგრირებული გაკვეთილი, **ობიექტი** კი ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ჩვენი **მიზანია**, გამოვიკვლიოთ ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე). გვსურს დავადგინოთ, რა სიხშირით ატარებენ ქართულის მასწავლებლები ინტეგრირებულ გაკვეთილს, რა საგნებსა და თემებთან ამყარებენ კავშირებს.

მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად ჩვენ მიერ მიღებული შედეგები იქნება **სიახლე** განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- შესაბამისი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- თვისებრივი კვლევის ჩატარება;

- მონაცემების დამუშავება და ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. რესპონდენტებად მიზნობრივად ავირჩიეთ საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლები თბილისის სხვადასხვა რაიონიდან. სულ გამოიკითხა ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის 51 მასწავლებელი. კვლევის შედეგები დაწვრილებით არის ასახული წინამდებარე ნაშრომში.

**Dochviri Ia**

**Practical research of integrated lessons at lower secondary school  
(based on Georgian language and literature)**

**Annotation**

Master's work is about practical research of integrated lessons at lower secondary school (based on Georgian language and literature).

In everyday variable life, it's important to examine this subject very many-sided, knowledge synthesized beyond discipline, critical, creative, development cooperative skills and finding ways to solve the problem with these opportunities. Accordingly, it's actualite to research the ways of developing these skills and all the issues to implement these opportunities in practice.

Based on the topics of interest of these themes and preliminary research we worked out the hypothesis: study disciplines are only orientated on intersectional teaching and general educational institutions don't conduct special quantity and quality of lessons for integrated knowledge.

Main subject of this work is integrated lessons, and work's main survey object is the process of integrated lessons.

The goal of the Master's thesis is to explore practice of integrated lessons at lower secondary school bases in educational institutes (based on Georgian language and literature). We want to find out, how often teachers conduct integrated lessons, with what subjects and in which themes they find connection.

This type of research is new, that's why the results will be novelty to people who work in education sphere and all other interested persons.

To reach the goal we set includes these tasks:

- Finding relevant literature, cultivate and analysis;
- Determination research methodology;
- Conduct qualitative research;
- Development of conclusions and recommendations.

In master's work we used qualitative research method. We chose teachers from public and private schools from different region of Tbilisi as respondents. We inquired 51 Teachers of Georgian language and literature. The results of this research in details are detailed in the present work.

## სარჩევი

შესავალი .....	7
თავი I - ინტეგრირებული სწავლება - საკითხის განსაზღვრისათვის .....	9
თავი II - საგანთშორისი კავშირების ფსიქოლოგიურ - პედაგოგიური კონცეფცია .....	16
თავი III - ინტეგრირებული სწავლების ტიპები და ფორმები .....	20
თავი IV - საგანთშორისი ინტეგრაცია და საკანონმდებლო ბაზა .....	26
4.1. ზოგადი განათლების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში .....	30
თავი V - საგანთშორისი კავშირები - ისტორიული კონტექსტი .....	33
თავი VI - სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა .....	42
6.1. ფინეთის გამოცდილება .....	42
6.2 ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება .....	46
6.3. გერმანიის გამოცდილება .....	48
კვლევითი ნაწილი .....	50
დასკვნები .....	62
რეკომენდაციები .....	65
გამოყენებული ლიტერატურა: .....	67
დანართი	

## შესავალი

განათლების დღევანდელ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, ტრანსფერს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდი ხანია დაადგინეს სიღრმისეული სწავლებისაკენ მიმავალ გზას, რომლის ერთ-ერთ მიმართულებად ინტეგრირებული სწავლება გვევლინება. აღნიშნული მოდელი აქტიურად განიხილება, როგორც სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომა, შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ, გამოგვეკვლია თუ რამდენად ინერგება იგი ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ინტეგრირებული გაკვეთილი სასწავლო პროცესში სულ მცირე ორი გაკვეთილის მონაწილეობაა, ამ გაერთიანების მიზანი კი სამყაროს ერთიანობის აღქმაა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებათა საფუძვლები სკოლაში განცალკევებულად ისწავლება, მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის ამ დისციპლინათა შეხების წერტილების ჩვენება. ინტეგრაცია უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ, ფართო, მრავალმხრივ გაგებას, რაც სცილდება ინდივიდუალური საგნის ცოდნას და ხელს უწყობს დისციპლინათა მიღმა ცოდნის სინთეზირებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და მათი საშუალებით პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას. ეს უნარები ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ მუდმივად ცვალებად სამყაროში, შესაბამისად **აქტუალურია**, ვიკვლიოთ მათი განვითარების გზებისა და საშუალებების პრაქტიკაში რეალიზების საკითხები.

თემატიკით დაინტერესებისა და წინასწარი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ ტარდება ცოდნის ინტეგრაციისათვის საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ინტეგრირებული გაკვეთილები.

ვფიქრობთ, რომ სასწავლო დისციპლინები მხოლოდ შიდასაგნობრივი შინაარსის სწავლებაზე არიან ორიენტირებულნი და ამიტომ მოსწავლეებს უჭირთ საკითხის მრავალმხრივი განხილვა, განზოგადება.

ნაშრომის კვლევის **საგანია** ინტეგრირებული გაკვეთილი, **ობიექტი** - ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკული რეალიზების პროცესი.

ჩვენი მიზანია ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე (ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე).

გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო საგანი „ქართული ენა და ლიტერატურა“ უკვე მოიცავს ორ კომპონენტს, საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვეკონკრეტებინა, რომ თემა ეხება არა ამ ორი ნაწილის ინტეგრაციას, არამედ ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ერთიანი საგნის ინტეგრაციას სხვა სასკოლო დისციპლინებთან.

მიზნის განხორციელებისათვის დავისახეთ რამდენიმე ამოცანა:

- შესაბამისი ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ანალიზი;

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გავეცანით საგანთშორისი კავშირების დამყარების, ინტეგრირებული გაკვეთილის, ცოდნის ტრანსფერის განხორციელების გზების ისტორიას როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვრებს გარეთ. გავაანალიზეთ დღევანდელი საერთაშორისო გამოცდილება. მოვიძიეთ მსგავსი კვლევები და განვაზოგადეთ მათი შედეგები.

- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ამ ეტაპზე შევქმენით მიზნის შესაბამისი ისეთი კითხვარის ფორმა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, სიღრმისეულად გვეკვლია საკითხი.

- თვისებრივი კვლევის ჩატარება;

გამოვიკითხეთ მიზნობრივად შერჩეული 51 პედაგოგი.

- მონაცემების დამუშავება და ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება.

დავამუშავეთ კვლევის შედეგები, გამოკვეთილ პრობლემებზე საპასუხოდ შევიმუშავეთ რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული გაკვეთილის პრაქტიკის კვლევა, მით უფრო ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე, არ ჩატარებულა, შესაბამისად, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები იქნება **სიახლე** და საშუალებას მოგვცემს, უკეთ დავინახოთ სურათი, შევაფასოთ დღევანდელი და რეკომენდაციები შევიმუშავოთ მომავლისათვის.



## თავი I - ინტეგრირებული სწავლება - საკითხის განსაზღვრისათვის

განათლების, როგორც სისტემის ისტორია რამდენიმე ასეულ წელს მოიცავს. კაცობრიობის განვითარება, უპირველეს ყოვლისა, აისახება მის საგანმანათლებლო სისტემაზე და პირუკუ. ეს ჯაჭვი ქმნის ერთიანობას, რომლის დარღვევაც მხოლოდ რეგრესს იწვევს. ამიტომაც, განათლება უნდა პასუხობდეს დროის მოთხოვნებს და გამომდინარეობდეს მისგან.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შეძენილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, ტრანსფერს. თუ ადრე ადამიანს შეეძლო დაუფლებოდა გარკვეულ პროფესიასა თუ უნარ-ჩვევას და ასე გაეტარებინა მთელი ცხოვრება, დღესდღეობით მუდმივად ცვალებად სამყაროში ასე არ ხდება. წარმატებულნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფლობენ რამდენიმე დისციპლინას და კომფორტულად ლავირებენ მათ შორის, აქვთ უნარი რთული და მრავალფეროვანი პრობლემების გადაჭრისა, შეუძლიათ დაინახონ კავშირები იქ, სადაც ისინი თვალნათლივ და აშკარად არ ჩანან. კრეატიულობა, ადაპტაციის უნარი, კრიტიკული აზროვნება და თანამშრომლობა არის უაღრესად ღირებული, საჭირო უნარები. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩვენს საზოგადოებაში ამ ცვლილებებს ფეხს ვერ უწყობს.

ჩვენი დროის დაკვეთაა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თემების ერთმანეთთან დაკავშირება, მიიღონ რეალური ცოდნა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები, რომლებსაც ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიყენებენ. თანამედროვე პედაგოგიკის ამოცანაა, რომ ბავშვს შეუქმნას ერთიანი, ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებასა და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში (ლ. ძიძიგური; 2005).

ადამიანი სამყაროს სხვადასხვა კუთხით შეიმეცნებს, თუმცა იგი ერთიანია და არა დანაწილებული საგნებად და სფეროებად, შესაბამისად, სკოლაში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევები მოსწავლეს უნდა აძლევდეს სამყაროს მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას. სასწავლო დისციპლინები ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული. საგანთშორისი კავშირების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ გარე სამყაროს მოვლენებსა და პროცესებს შორის მრავალნაირი მიმართება და ჩავწვდეთ მათ შორის ურთიერთქმედების არსს.

საგანთმორის კავშირებს უდიდესი როლი ენიჭება, რადგანაც იგი დაკავშირებულია სწავლების და განათლების სტრუქტურასთან და აისახება სწავლების მეთოდებში, ფორმებსა და საშუალებებში. მართალია, მეცნიერებათა საფუძვლები სასკოლო სისტემაში ისწავლება ცალ-ცალკე, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და მუშაობა არ არის დანაწევრებული მათემატიკის, ქართულის, ისტორიისა და ინგლისურის ნაწილებად. პედაგოგიური სწავლება, ისევე როგორც ცხოვრება და საქმიანობა, ერთიანი პროცესია. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები მოხვდებიან ისეთ ინტერდისციპლინარულ რეალობაში, სადაც მათ არავინ შეუმოწმებს ცალკეული საგნის ცოდნასა და არც სასკოლო მასალას გამოჰკითხავს ვინმე. სკოლის დამთავრების შემდეგ, მათ უნდა ჰქონდეთ რეალური, ერთიანი ცოდნა სამყაროზე და უნარი, შეძლონ ამ სამყაროში თავის დამკვიდრება. ეს ყველაფერი კი უნდა უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელშიც მოსწავლე ეუფლება რამდენიმე დისციპლინას. მთავარია, ჩვენ არ დაგვავიწყდეს, რომ საკვლევი საგანი ერთია, უბრალოდ, ბუნებაში მიმდინარე ნებისმიერ პროცესსა თუ მოვლენას სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებული მიდგომით განიხილავს. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ დაგვავალეს ოთახის ცენტრში მდგომი ფერადი ლარნაკის აღწერა და სხვადასხვა კუთხეში გადაგვანაწილეს. ერთ ნაწილს გვთხოვს, აღგვეწერა მხოლოდ მისი გარეგნული ფერადოვნება, მეორეს - მისი დანიშნულება, მესამეს - ფორმა, მეოთხეს - მასალა და ა.შ. მხოლოდ თითოეული ჩვენგანის მოსმენისა და გაანალიზების შედეგომ შეგვეძლება ვთქვათ, რომ საგანი შევისწავლეთ. ასევეა ცოდნაც, რომლის გამთლიანებას, ინტეგრაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადრმავებული სწავლებისას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გადრმავებული სწავლება ერთ-ერთი ძირითადი მეთოდური ორიენტირია, რომელიც, სასწავლო მასალის ეტაპობრივი და მრავალმხრივად მიწოდების გარდა, გულისხმობს საგანთმორის კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას. ინტეგრირებული გაკვეთილები კი ამგვარი მიდგომის ერთ - ერთი ფორმაა. სწავლება მოიცავს ისეთი საგნების ერთმანეთთან დაკავშირებასაც, რომლებიც, შესაძლოა, ერთი შეხედვით ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ამ კავშირების აღმოჩენა მოსწავლეებს ეხმარება,

უფრო სიღრმისეულად, ახლებურად და ორიგინალურად მიუდგნენ სწავლის პროცესს, მიიღონ რეალური, ღრმა ცოდნა და გამოცდილება.

ინტეგრაცია ლათინური სიტყვაა (ლათ. Integer - მთელი) და ქართულად აღდგენას, შევსებას ნიშნავს. იგი გულისხმობს ცალკეული ნაწილების ერთ მთლიანობაში გაერთიანებას. როცა ამ ტერმინს საგაკვეთილო სისტემასთან მიმართებით ვიყენებთ, ვსაუბრობთ საერთო თემატიკის ქვეშ გაერთიანებულ რამდენიმე საგანზე. ინტეგრაციის ამოცანაა მოსწავლეთათვის არა მხოლოდ სასწავლო დისციპლინათა შეხების წერტილებისა თუ სფეროების ჩვენება, არამედ მათი ორგანული კავშირის დანახვის მეშვეობით ჩვენ ირგვლივ არსებულ სამყაროზე წარმოდგენის შექმნა.

ინტეგრირებული გაკვეთილი საგაკვეთილო პროცესში სულ მცირე ორი საგნის მონაწილეობაა. აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ამ საგნებს შორის კავშირი უნდა იყოს ორგანული და მათი შერწყმა უნდა გვაძლევდეს საშუალებას, დავგეგმოთ შესაბამისი აქტივობები.

ინტეგრირებული სწავლების დადებითი ეფექტები არ ჩანს მხოლოდ შედეგში. კონკრეტული მიზნის მიღწევის გზაც სასიამოვნო და საინტერესო უნდა იყოს. ინტეგრირებული გაკვეთილების ორიგინალურობა დადებითად აისახება მთელ პროცესზე. ის არის მოსწავლეთა უფრო მჭიდრო ურთიერთობების შესაძლებლობა, უვითარებს მათ შემეცნებით უნარ-ჩვევებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან რეალურ ცხოვრებასთან და გამომდინარეობენ მისგან, მაგალითად, თანამშრომლობა, პრობლემის მოგვარება, კავშირების დანახვა. ბავშვებს უჩნდებათ დადებითი დამოკიდებულება საგანის მიმართ, სასწავლო გეგმა ხდება მეტად მოქნილი, იზრდება მოტივაცია, რაც ნამდვილად აისახება მთლიან სასწავლო პროცესზე და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ გაკვეთილზე. ახლებურად, ორიგინალურად მიღებული ნაცნობი შინაარსი უღვივებს მათ ინტერესს, უფრო ღრმად ჩასწვდნენ მოვლენებს და მიიღონ „აღმოჩენის სიამოვნება“.

ინტეგრირებული სწავლება აერთიანებს მრავალფეროვან დისციპლინებს ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ კომპლექსური ასოციაციების გააზრებისა თემის ფარგლებში. მისი საშუალებით უფრო ნათელად იკვეთება კავშირები და მოსწავლეები არ იღებენ ფრაგმენტულ, დაუკავშირებელ თემებს. ამგვარი მიდგომის საშუალებით კი

სკოლა უფრო კარგი და საინტერესო ხდება როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. ინტეგრაცია უზრუნველყოფს საკითხის სიღრმისეულ და ფართო გაგებას, რაც სცილდება ინდივიდუალური საგნის ცოდნას.

ინტეგრირებული გაკვეთილის პედეგოგიური ეფექტი საყურადღებოა მრავალი მიზეზის გამო. მოსწავლეებს შეუძლიათ კონკრეტული თემის მრავალმხრივი განხილვა, აქვთ სხვადასხვა საგანში შექმნილი ცოდნის გააქტიურებისა და განხვავებულ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია შეფასება, დაკავშირება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მოტივაცია, სააზროვნო უნარ-ჩვევების გააქტიურება-შედარება, დაპირისპირება, ანალიზი, სინთეზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და ა.შ.

საერთო სასწავლო მიზნების მიღწევა სხვადასხვა კლასში სხვადასხვა მასწავლებლის მიერ სწავლების უფრო ეფექტური გზაა და ორიენტირებულია მოსწავლეთა წარმატების გაზრდაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები სწავლობენ მასწავლებელთა თანამშრომლობის ამ მოდელის გაგრძელებას, სწავლის, დისციპლინისა და სხვების ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობენ თანატოლებთან, ამყარებენ კავშირებს თავიანთ ცოდნასა და ახალ იდეებს შორის, მუშაობენ განსხვავებული პერსპექტივებიდან. სწავლობენ პრობლემის გადაჭრას, შემოქმედებითობას, მოქნილობას.

მოგეხსენებათ, ხშირად არ გვაქვს იმის შანსი, ბავშვებს ვაჩვენოთ, რომ განათლებას აქვს რეალური ღირებულება და მათ აქვთ შესაძლებლობა იმისა, რომ გააერთიანონ მიღებული ცოდნა, უნარები და გამოიყენონ პრაქტიკაში. ვფიქრობთ, ინტერდისციპლინარული მიდგომის მეშვეობით დავინახავთ ენთუზიაზმს როგორც მოსწავლეებში, ასევე მასწავლებლებშიც. ეს ნამდვილად არ არის ადვილი, მაგრამ თუ უკეთ გავიაზრებთ, რამდენად სასარგებლო და აუცილებელია ინტეგრირებული სწავლება, მით უფრო მეტ და დიდ ნაბიჯს გადავდგამთ პროგრესისკენ.

ვფიქრობთ, სადავო არ არის, თუ როგორი საჭიროა ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება, თუმცა შეჯამების სახით, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს მის რამდენიმე დადებით მხარეს. ესენია:

- მოსწავლეთა მიერ საგნებს შორის კავშირის დანახვა;

- ზოგადი კონცეფციების გაგება, შენახვა და გამოყენება;
- ახალი და სწრაფად ცვალებადი ინფორმაციის მოკლე დროში უფრო ეფექტური შესწავლა;
- გლობალური ურთიერთდამოკიდებულების უკეთესად გააზრება მრავალი პერსპექტივის, თვალსაზრისისა და ღირებულების განვითარებასთან ერთად;
- გადაწყვეტილებების მიღების უნარი, კრიტიკულად და შემოქმედებითად აზროვნება, დისციპლინების მიღმა ცოდნის სინთეზირება;
- პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის იდენტიფიცირება, შეფასება და გადაცემის უნარი;
- კოოპერატივის სწავლების ხელშეწყობა, საკუთარი თავის გააზრება, როგორც მოსწავლისა და ასევე, საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრისა;
- ჩვენება მოსწავლეთათვის, რომ მათმა მასწავლებლებმა იციან, რასაც ისინი სწავლობენ სხვა საგნებში;
- ახალი პერსპექტივიდან საკუთარი დისციპლინის კიდევ ერთხელ გაცნობა;
- ენთუზიაზმის გაღვივება სწავლით;
- შესაძლებლობა - ისწავლო მოსწავლეებისგან, რომლებიც ზოგჯერ მოულოდნელად შეამჩნევენ ინტერდისციპლინარულ კავშირებს;
- არაიზოლირებული საგანმანათლებლო გამოცდილება;
- მეტი შესაძლებლობა მოსწავლისთვის, რომ დააკავშიროს ახალი ცოდნა იმასთან, რაც უკვე იცის და რითაც არის დაინტერესებული;
- მოსწავლეებისათვის ახალი გზების ჩვენება, თუ როგორ წარმოაჩინონ საკუთარი უნარები და ცოდნა;
- ხაზგასმა მოსწავლეთა შესაძლებლობებზე მათ სძენს თავდაჯერებულობას, რომ არ შეუშინდნენ ახალ გამოწვევებს რთული კონცეფციებისა თუ ცნებების სწავლისას;
- გაზრდილი მოტივაცია.

ვფიქრობთ, საკმარისად ვისაუბრეთ ინტეგრირებული სწავლა-სწავლების დადებით ეფექტებზე, ახლა კი პრაქტიკულ საქმიანობაზეც უნდა გადავიდეთ. ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადებისა და ეფექტიანად ჩატარებისათვის უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა თუ წესი:

ინტეგრირებული გაკვეთილის ჩასატარებლად (და არამხოლოდ ინტეგრირებულისა) აუცილებელია მისი წინასწარი დეტალური დაგეგმვა. უპირველეს ყოვლისა, სწორად უნდა განვსაზღვროთ შესასწავლი ობიექტი და გაკვეთილის შინაარსი. მასწავლებლებმა წინასწარ უნდა ჩამოაყალიბონ მიზნები, რომელთა მიღწევაც სურთ, დაუკავშირონ იგი ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საგნობრივ სტადარტებსა და ინდიკატორებს. ასევე, აუცილებელია, რომ მათ დროში გაწერონ შესაბამისი აქტივობები. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორ მასწავლებელთა მონაწილეობის წილი თემის შინაარსიდან გამომდინარეობს, სასურველია დაცული იყოს თანაფარდობაც, რამდენადაც ამის საშუალებას თემა იძლევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი არაა საგანთა მექანიკური შეერთება. ახალი ინფორმაციების მიღებასთან ერთად მოსწავლემ უნდა შეძლოს მათი დაკავშირება ერთმანეთთან და სამყაროს ერთ მთლიანობად წარმოდგენა.

როგორც აღინიშნა, ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს ორი ან ორზე მეტი საგნის გაერთიანებას საერთო თემის ირგვლივ, შესამაბისად, მის ჩასატარებლად საჭიროა ამდენივე მასწავლებელი. მათი პროფესიული უნარ-ჩვევები, მაღალი კვალიფიკაცია და თანამშრომლობის უნარი ეფექტიანი გაკვეთილის ჩატარების წინაპირობაა. უნდა გავითვალისწინოთ პედაგოგთა თავსებადობაც. მათ შორის ბუნებრივი კავშირი აუცილებელიც კი არის, რადგან მათ თანამშრომლობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ზოგჯერ ისეც ხდება ხოლმე, რომ პედაგოგი ჯერ პარტნიორ მასწავლებელს არჩევს და შემდეგ მასთან ერთად ფიქრობს თემაზე. ასევე, შესაძლებელია, რომ ორივე ფუნქცია ერთმა მასწავლებელმა იკისროს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და მომზადება.

ინტეგრირებული გაკვეთილის მიმართ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნად მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის როლის ამაღლება სახელდება, რადგანაც ამ მოდელს ახასიათებს ღრმა ანალიზისა და განზოგადების აუცილებლობა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია თემატიკიდან. ბავშვებმა თავად უნდა გააანალიზონ ინფორმაცია, გამოიყონ პრობლემა და დასახონ ამ პრობლემათა გადაჭრის გზებიც.

განათლების ექსპერტები გვირჩევენ, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი ჩავატაროთ სასწავლო წლის ბოლოსათვის, როცა რაღაც მოცულობის სასწავლო მასალა

მოსწავლეებს ათვისებული აქვთ ყველა საგნის ფარგლებში, თუმცა აუცილებელი არაა დაველოდოთ წლის ან სემესტრის ბოლოს. ვფიქრობ, ამგვარი გაკვეთილის ჩატარება შეიძლება სასწავლო წლის ნებისმიერ დროს და ამისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ მოსწავლეთა წინარე ცოდნაც.

ჩვენ აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინება. უფრო დაწვრილებით ამ თემებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

## თავი II - საგანთშორისი კავშირების ფსიქოლოგიურ -

### პედაგოგიური კონცეფცია

საგანთშორისი კავშირების აღმოჩენისა და შემდეგ ამ კავშირების გააზრების ყველაზე ეფექტური გზა ინტეგრირებული გაკვეთილია. საგანთშორისი კავშირების რეალიზება უკავშირდება პიროვნების აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას.

*აღზრდის, განათლებისა და სწავლების პროცესები უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ფსიქიკასთან, რომლის არსისა და განვითარების კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სწავლა-აღზრდის კანონზომიერებათა შესწავლა-დადგენა.* [დ. ლორთქიფანიძე, 1981: 20]

ზოგადად, სწავლება უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებსა და თავისებურებებს, რომ ერთი მხრივ - არ დაირღვეს მისაწვდომობის დიდაქტიკური პრინციპი და მეორე მხრივ - შემეცნებისათვის საჭირო კონკრეტული სააზროვნო ოპერაციების განვითარება დაემთხვეს სენსიტიური პერიოდს.

ბავშვის აღქმა იმ დროს, როცა იგი სკოლაში სწავლას იწყებს, მთლიანობითი ხასიათისაა და არ განიცდის შინაგან დანაწევრებულობას. განცალკევებულად მიწოდებული ინფორმაცია და ცოდნა ვერ დაეხმარება მას, რომ სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენა შეიქმნას, სწორედ ამიტომ პედაგოგები მიმართავენ ინტეგრირებულ გაკვეთილს ან უფრო ფართოდ, საგანთა ინტეგრაციას, რაც იმ ასაკისათვის დამახასიათებელი აზროვნების თავისებურებებიდან გამომდინარე, კარგ პირობას ქმნის მიზნის მისაღწევად. ამ დროს მასწავლებელმა უნდა დაანახოს ბავშვს, რომ სასწავლო საგნები უბრალოდ განსხვავებული მიდგომებია შესასწავლ ობიექტზე. ინტეგრაცია ხდება მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის გაგების ხელშემწყობი. (ქ. ოსიაშვილი; 2017) სწორედ ამიტომ, ინტეგრირებული გაკვეთილის სხვადასხვა ტიპი უფრო ხშირად გვხვდება დაწყებით საფეხურზე.

ვინაიდან ჩვენი კვლევა ეხება საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, რომელთა ასაკი ცამეტიდან თხუთმეტ წლამდე მერყეობს, არ უნდა დაგვავიწყდეს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ამ ასაკშიც საჭირო და აუცილებელია ხშირად გამოვიყენოთ ცოდნისა და უნარების ინტეგრაცია. სწორედ საბაზო საფეხურზე უნდა მივმართოთ ხშირად ინტეგრირებული გაკვეთილის



მოდელს, რადგანაც ესაა სენსიტიური პერიოდი აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნების ფორმათა განვითარებისათვის, თანაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამ საფეხურზე მეტია საგნობრივი კონტენტი, შესაბამისად, მასწავლებელს ინტეგრაციისათვის მეტი სფერო და გასაქანი აქვს.

ამ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ ვეყრდნობით ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიას. იგი გამოყოფს კოგნიტური განვითარების ოთხ ასაკობრივ სტადიას, თერთმეტიდან თხუთმეტ წლამდე ასაკობრივ კატეგორიას კი ფორმალური ოპერაციების სტადია უწოდებს. პიაჟე ამბობს, რომ ამ ასაკის ბავშვებს უკვე ზრდასრული ადამიანის კოგნიტური შესაძლებლობები აქვთ და შეუძლიათ ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს. ამ პერიოდში ისინი უკეთ იგებენ ურთიერთდამოკიდებულების არსს და, რაც მთავარია, განყენებული იდეებით მანიპულირებაც შეუძლიათ. ამ დროს ეუფლებიან ასევე მეცნიერულ აზროვნებას.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პიაჟეს აზრით, *ფორმალური ოპერაციების სტადიაზე მყოფ მოზარდებს შეუძლიათ ორ ან მეტ ცვლადს შორის კავშირების გამოვლენა* [მ. მელიქიშვილი, 2012: 31]

სწორედ ამ ასაკიდან უნდა შევუწყოთ ხელი ამ უნარების განვითარებას, რაშიც ინტეგრირებული გაკვეთილები ნამდვილად დაგვეხმარება. პიაჟეს მიაჩნდა, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტულ თემებზე და არა ცალკეული საგნის შინაარსის ცოდნაზე. იგი ემხრობა მულტიდისციპლინურ მოდელს, რომელიც ინტეგრაციის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევა.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსკლასელები უფრო აბსტრაქტულად აზროვნებენ. ამას განაპირობებს ის, რომ ფიზიკური განვითარების დროს ხდება ტვინის უჯრედებში ასოციაციური ბოჭკოების ზრდა ანუ იქმნება ანალიტიკურ-სინთეზური მოქმედების გართულების წინაპირობები. აზროვნების განვითარების უმაღლეს ხარისხს წარმოადგენს თეორიული აზროვნება, განზოგადებული დიალექტიკური აზროვნება, რომელიც მიმართულია მოვლენების განმარტებასა და განყენებული კანონზომიერების შემეცნებისკენ. ამ ასაკში მათი აზროვნება ხდება კრიტიკული. მათ აქვთ თვითგამორკვევის აუცილებლობა და გაზრდილი ინტერესი პიროვნებისა და

საზოგადოების ურთიერთმიმართებისადმი, ასევე მიდრეკილნი არიან თვითრეფლექსიისადმი. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვნად ზრდის მათ სურვილს სხვადასხვა მოვლენის ანალიტიკური შედარებისათვის (ლ. ძიძიგური; 2005).

აზროვნების კრიტიკულობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომლის განვითარებისთვისაც დიდი შრომის გაწევია საჭირო, რადგან ადამიანები ბუნებრივად არ არიან კრიტიკულები. ისევე როგორც პიანისტობა, ადამიანის ბუნებრივი მახასიათებელი კრიტიკული აზროვნებაც არ არის. ადამიანებს კრიტიკული აზროვნება ბუნებრივადაც რომ ჰქონდეთ, მისი დაუფლება სათანადო დონეზე მაინც რთული იქნებოდა. იგი „მაღალ სააზროვნო უნარებს“ მიეკუთვნება. ესაა კომპლექსური მოქმედება, რომლის შემადგენელი ნაწილები წარმოადგენენ სხვა მარტივად დასაუფლებელ უნარებს. თუ დაბალი დონის უნარი არ არის განვითარებული, კრიტიკული აზროვნებაც ვერ შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ამ დაბალი დონის უნარების სწორი კომბინაცია ვერ მოხდა, არც მაშინ გვექნება შედეგი. შესაძლოა ითქვას, რომ *„კრიტიკული აზროვნება მოიცავს კარგად გაწვრთნილი სხვადასხვა დაბალი დონის კოგნიტური შესაძლებლობების ერთობლიობას. მის განვითარებას დიდი დრო სჭირდება. ამ უნარის კარგად დაუფლებისათვის საჭიროა პრაქტიკა, თანაც არც ისე ცოტა. მხოლოდ თეორიული ცოდნა არ არის საკმარისი, მოსწავლეებმა თავად უნდა დაიწყონ კრიტიკული აზროვნება“* [თ. გორგოძე, 2012: 115]

ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, განსაკუთრებით ისეთი ზოგადი უნარისა, როგორცაა კრიტიკული აზროვნება, არის მისი გადაცემა, ანუ ტრანსფერი. ერთ სიტუაციაში შეთვისებული უნარები სხვა სიტუაციაში არ ან ვერ გამოიყენება. ცოდნისა და უნარების ტრანსფერი რაღაც დოზით მაინც ხდება, რადგან სხვაგვარად განათლების მიღება ბევრად უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი საქმიანობა იქნებოდა, მაგრამ ეს გადაცემა გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე უნდა იყოს. ამ პრობლემის წინაშე კრიტიკული აზროვნება მეტად მგრძობიარეა. ზოგადად, ნებისმიერი თეორიული ცოდნის ბოლომდე გააზრებასა და სრულყოფას მისი პრაქტიკაში გამოყენება სჭირდება. არ უნდა გვეგონოს, რომ გარკვეულ სიტუაციაში ათვისებული რაიმე უნარისა თუ ცოდნის გამოყენება სხვა სიტუაციაში სპონტანურად და უცებ შეგვეძლება (თ. გორგოძე; 2012).

ინტეგრირებული გაკვეთილი ტრანსფერის ხელოვნების პრაქტიკაში გამოყენებისათვის არის საჭირო და მნიშვნელოვანი. უნდა აღინიშნოს ისიც, ტრანსფერული უნარების განვითარებას დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება, შესაბამისად, ერთჯერადი ინტეგრაციის პირობებში მიზანს ვერ მივაღწევთ.

### თავი III - ინტეგრირებული სწავლების ტიპები და ფორმები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა ინტეგრაციის უამრავი სახეობა, მათ შორის, მეთოდების, ხერხების, დონეებისა და მიმართულებების მიხედვით. ინტეგრირებული სწავლების შედეგები მოსწავლეების შემოქმედებით აზროვნებაშიც ვლინდება და ხელს უწყობს არა მხოლოდ სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის სისტემატიზაციას, არამედ ფილოსოფიური, ეთიკური, ისტორიული, ენობრივი ცოდნის დაუფლებას. კულტურის ტიპი კი განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერების ტიპს (ლ. მიძიგური; 2005). ამასთან ერთად, ინტეგრაცია ხელს უწყობს მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ფორმირებას და ხელსაყრელია დროის მოგების თვალსაზრისითაც. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყოველივე ამის გამო (და არამხოლოდ) საგანთა ინტეგრაცია განსაკუთრებით საჭირო და აქტუალურია თანამედროვე სკოლაში.

ინტეგრირებული გაკვეთილები დაეხმარება მოსწავლეებს, რომ თავი აარიდონ ცალმხრივობას და მიიღონ ცოდნა, როგორც მთლიანობა, ერთიანობა. ამ გზით ისინი თავს დააღწევენ ცოდნის სივიწროვეს და სკოლის დასრულების შემდეგ უფრო მეტი უნარ-ჩვევით შეიარაღებულნი იქნებიან, შესაბამისად, უფრო წარმატებულნი და, რაც მთავარია, მობილურნი. დღევანდელიობაც ხომ ამას მოითხოვს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისაგან.

როცა ვსაუბრობთ საგნობრივ კავშირებზე, უნდა დავაზუსტოთ ერთი გარემოებაც. ზოგიერთი მოსაზრებით, საგნობრივი კავშირის ძირითადი გამოვლინებაა ინტრადისციპლინური მოდელი. მაგალითად, კავშირები მყარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას და სხვა.

განათლების ექსპერტები ცდილობენ გასცენ პასუხი კითხვებს: ინტეგრირების დროს როგორი კავშირები შეიძლება დამყარდეს, უნდა იყოს დაკავშირებული ყოველდღიურ ცხოვრებასთან თუ არა, უნდა იყოს შინაარსობრივი თუ უნარებზე დაფუძნებული და ასე შემდეგ.

წარმოგიდგინთ ინტეგრაციის კლასიფიცირების რამდენიმე მოდელს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით (Drake & Burns; 2004). გამოიყოფა ინტეგრაციის სამი ფორმა:

1. მულტიდისკლინური მიდგომა;
2. ინტერდისციპლინური მიდგომა;
3. ტრანსდისციპლინური მიდგომა.

მულტიდისციპლინური მიდგომა გულისხმობს დისციპლინების თემატურ კავშირს. ესაა კავშირი საგნებს შორის, რომელთაც აერთიანებთ საერთო თემა, უნარები ან დამოკიდებულებები. იგი მოიცავს ზემოთ ნახსენებ ინტრადისციპლინურ მიდგომასაც.

ინტერდისციპლინურ მიდგომაში საგნების როლი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ინტეგრაციის ცენტრი არის არა მხოლოდ თემა, არამედ ინტერდისციპლინური უნარების განვითარება, სხვადასხვა კონცეფციის მრავალმხრივი გააზრება. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას მოსწავლეები პარალელურად შეიძლება დაეუფლონ ფიზიკას, ქიმიას ან მათემატიკას.

ტრანსდისციპლინური მოდელი კი უმეტესად გამოიყენება პროექტებით სწავლების დროს. სასწავლო პროცესი იგება მოსწავლეების მიერ წამოჭრილი შეკითხვებისა და ინტერესების მიხედვით.

ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში უფრო მეტადაა გავრცელებული ინტრადისციპლინური მოდელი. ნაკლები ყურადღება ეთმობა ინტერდისციპლინურ ინტეგრაციას, რაც ძალიან საინტერესო და საჭიროა როგორც მოსწავლეთათვის, ასევე პედაგოგებისათვის.

რაც შეეხება ინტეგრაციის პროცესის შესწავლას, აქ საკითხი რამდენიმენაირადაა წარმოჩენილი.

გამოიყოფა მისი 2 სახეობა: ვერტიკალური გაერთიანება და ჰორიზონტალური ინტეგრაცია. ჩვენთვის საყურადღებოა სწორედ ეს უკანასკნელი, რადგან გულისხმობს მსგავსი მასალის გაერთიანებას სხვადასხვა სასწავლო საგანში. ვერტიკალური გაერთიანება კი ნიშნავს ერთი საგნის ფარგლებში მასალის გაერთიანებას, რომელიც მეორდება სკოლაში სირთულის სხვადასხვა დონეზე.

ჰორიზონტალურ ინტეგრირებას შეესაბამება ო. მალჩინას მიერ შემოთავაზებული ინტეგრაციის მესამე ფორმა. იგი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის სხვადასხვა ფორმას, რომლებშიც ვლინდება ინტეგრაციის სხვადასხვა დონე:

1. სპეცკურსები, რომლებშიც გაერთიანებულია რამდენიმე საგანი.
2. სხვადასხვა თავის ბლოკირება.
3. ერთი თემის ორი ან მეტი საგნის საფუძველზე შესწავლა.
4. კურსი, რომელიც აერთიანებს ცოდნას აზროვნების განზოგადებული ოპერაციების საფუძველზე.

ამ სტრუქტურის მიხედვით ა. იატაკინამ განსაზღვრა ინტეგრაციის შემდეგი საფეხურები:

1. თემატური ინტეგრაცია - ერთი თემა განხილულია ორი-სამი სასწავლო საგნის მიერ. ეს დონე საილუსტრაციო-აღწერითი ხასიათისაა.
2. პრობლემური ინტეგრაცია - მოსწავლეებმა პრობლემა უნდა გადაჭრან სხვადასხვა საგნის შესაძლებლობების გამოყენებით (ეს უფრო მეტად უკავშირდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდელს).
3. კონცეპტუალური ინტეგრაცია - კონცეფცია განიხილება სასწავლო საგნებით ყველა მათი მეთოდისა და საშუალების გამოყენებით.
4. თეორიული ინტეგრაცია - ცოდნის სხვადასხვა სფეროდან ნასესხები ცნებისა და პრინციპების გამოყენება (ლ. ძიძიგური; 2005).

შესაძლოა ვთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ინტეგრაციის უმაღლესი ხარისხია, რადგანაც მოსწავლეს უწევს კონკურენტი თეორიების სინთეზი და იგი იყენებს აზროვნების სხვადასხვა დონეს. მან უნდა შეძლოს თემისა და სამყაროს დანახვა სხვადასხვა ასპექტის ერთდროული შერწყმისას.

მნიშვნელოვანია საგანთშორისი და შიდასაგნობრივი კავშირების რეალიზების თეორიული ასპექტები, რომლებიც დაეხმარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებაში.

ცნებაში „საგანთშორისი კავშირები” სამი არსებითი ნიშანი გამოიყოფა: კავშირის შემადგენლობა, კავშირის ხერხები და კავშირის მიმართულება.

პირველი მათგანი გულისხმობს კონკრეტული საკითხებისა და სასწავლო თემების ერთობლიობას, რომლებიც ერთმანეთთან თანაფარდობაში არიან განსაზღვრული ნიშნებისა და წესების მიხედვით. ამგვარი კავშირის დეტალიზაცია მდგომარეობს ძირითადი მეცნიერული ფაქტების, პროცესების, მოვლენების, მათი შემადგენელი

თვისებებისა და ნაწილების დანაწევრებაში. ყოველი მათგანის განხილვა ერთ მთლიანობაში არის მასალა, რომელიც გადაეცემა მონათესავე სასწავლო დისციპლინას.

კავშირის დამყარება გულისხმობს იმ მიმართულებას, რომლითაც ხდება რაიმე ცნების გადაცემა ერთი დისციპლინიდან მეორეზე.

საგანთშორისი კავშირების სპეციფიკა შემდეგნაირია:

1. ერთმანეთთან თანაფარდობაში უნდა იყვნენ რამდენიმე სასწავლო საგნის ელემენტები შინაარსის მიხედვით;
2. ურთიერთკავშირი უნდა დამყარდეს სწავლების მეთოდებს შორის;
3. საჭიროა ცოდნის კომპლექსური გამოყენების უნარის ფორმირება.

საგანთშორისი კავშირები უნდა გამოვიყენოთ პედაგოგიური მიზნებიდან გამომდინარე. უნდა მოხდეს:

- ცოდნის ინტეგრაცია;
- ახალი ცოდნის შექმნა;
- სასწავლო ინფორმაციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მხარეების სინთეზი;
- ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სფეროების გაფართოება.

თითოეული სასწავლო საგანი აღწერს სინამდვილის ერთ მხარეს, რადგან მხოლოდ ამგვარი დანაწევრების საშუალებითაა შესაძლებელი სინამდვილის სიღრმისეული შემეცნება, თუმცა ასეთი დიფერენცირებული შესწავლა საკმარისი არაა სამყაროს ერთიანობის აღსაქმელად, ამიტომ აუცილებელია მონათესავე სასწავლო საგნების მონაცემთა სინთეზი. უნდა გამოვავლინოთ ურთიერთკავშირი სხვადასხვა დისციპლინის თეორიულ მონაცემებს შორის.

ახალი ცოდნის შექმნაში იგულისხმება, რომ აუცილებელია კავშირის დამყარება მონათესავე სასწავლო დისციპლინებთან ინფორმაციის მიღების მიზნით.

მნიშვნელოვანია რეალური სამყაროს მოვლენებისა და პროცესების ახსნა რაოდენობრივი ფაქტორის გათვალისწინებით. ყველა სასწავლო დისციპლინის უკეთ შესწავლაში მნიშვნელოვანია ხარისხობრივად განსხვავებული მოვლენების შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი გულისხმობს ცოდნის კომპლექსური გამოყენების აუცილებლობას .

პედაგოგიურ ლიტერატურაში არსებობს უამრავი მონაცემი, მცდელობა, მიმართულება, რომელიც ცდილობს ზუსტად განსაზღვროს საგანთშორისი კავშირების ფუნქცია და როლი.

არსებობს საგანთშორისი კავშირების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის რამდენიმე ვარიანტი. მაგალითად:

ი. ლაშქარავა<sup>1</sup> გამოყოფს კავშირის სამ ეტაპს: ა)კავშირი სასწავლო დისციპლინების შინაარსის მიხედვით; ბ)კავშირი უნარ-ჩვევების ფორმირების მიხედვით; გ)კავშირი სწავლების მეთოდების მიხედვით.

3. მ. სკატკინისა<sup>2</sup> და ი. ლერნერის მიხედვით საგანთშორისი კავშირები შეიძლება დავეყოთ: ა)თითოეული სასწავლო საგნისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შორის კავშირებად; ბ)კავშირებად იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შორის, რომლებიც დამახასიათებელია ზოგადად ყველა სასწავლო საგნისათვის; გ) კავშირებად დროის ფაქტორის მიხედვით.

4. ო. შებალინი<sup>3</sup> გამოყოფს კავშირების შემდეგ ჯგუფებს: ა)მსოფლმხედველობრივი კავშირები; ბ)საინფორმაციო კავშირები; გ)ქრონოლოგიური ანუ დროითი კავშირები.

თავის მხრივ, მსოფლმხედველობითი კავშირები გულისხმობს წარმოდგენების ჩამოყალიბებას სამყაროს მეცნიერული სურათის შესახებ, ამასთანავე, შიდაციკლური საგანთშორისი კავშირების ამოცანაა მოსწავლეებში მეცნიერების ზოგადი კანონზომიერების შესახებ ადეკვატური წარმოდგენების გამომუშავება. რაც შეეხება დროით კავშირებს, გამოიყოფა: წინამორბედი კავშირები - საჭიროებს შესწავლილი მასალის გახსენებას სხვა სასწავლო დისციპლინიდან; თანმხლები კავშირები - მოითხოვენ ცნების შინაარსის ცალსახა გამოყენებას სხვადასხვა დისციპლინის ერთდროულად სწავლებისას. პერსპექტიული კავშირები - მოითხოვენ მომავალში

<sup>1</sup> Лошкарова Н. А. - О понятии и видах межпредметных связей. III изд. изд. "Просвещение". Москва. 2009 .г. 234 стр.

<sup>2</sup> Скаткин М. Н. - Проблемы современной дидактики. . изд. "Просвещение". Москва. 2009 .г. 418 стр.

<sup>3</sup> Шебалин О. Д.-Подготовка учителей и реализаций мирозренческой функции школьного предмета. Изд-во Московского гос. пед. института. Москва. 2008 г. 248 стр.



შესასწავლი დისციპლინების სასწავლო მასალის მოშველიებით ცნების შინაარსის უფრო ღრმა გაანალიზებას (ბ. ბაკურაძე; 2010).

როგორც დავინახეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა ინტეგრაციის რამდენიმე სახეობა. ვეცადეთ, მაქსიმალურად ამომწურავად განგვხილა კლასიფიცირების ძირითადი მოდელები.

## თავი IV - საგანთშორისი ინტეგრაცია და საკანონმდებლო ბაზა

როგორც აღვნიშნეთ, ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაღრმავებული სწავლებისას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეს გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხივად მიწოდებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, საგანთშორისი კავშირების გამოვლენას და საერთო ასპექტების დამუშავებას [ესგ, მუხლი 12]. ჩვენი ყურადღების ცენტრშია საგანთშორისი კავშირები, საგანთა ინტეგრაცია საერთო მიზნის მისაღწევად.

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის საშუალებაა. იგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისა და შინაარსების მარეგულირებელი ყველაზე მსხვილი დოკუმენტია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სწავლა-სწავლების პროცესის პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებსა თუ უნარებზე, ღირებულებებზე, რომელთა ფლობაც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისათვის.

საგნების სწავლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შიდასაგნობრივი ინფორმაციის ცოდნით, არამედ იგი ხელს უნდა უწყობდეს სწორედ გამჭოლი კომპეტენციებისა თუ უნარების განვითარებას მოსწავლეებში, რაც თავის მხრივ ხორციელდება საგანთშორისი კავშირების დამყარებით. მოსწავლემ უნდა შეძლოს რომელიმე ერთ საგანში მიღებული ცოდნა და გამოცდილება სხვა შინაარსობრივ კონტექსტშიც გამოიყენოს, ანუ მოახდინოს ცოდნის ინტეგრაცია.

საბაზო საფეხურის ერთ-ერთი მისიაა საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ცოდნის სამი ტიპი: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული.

დეკლარატიული ცოდნა, არის ზედაპირული ცოდნა იმისა, რას წარმოადგენს საგანი, როგორ გამოიყურება იგი და რას აღნიშნავს. პროცედურული ცოდნა წარმოადგენს ინტელექტუალური შესაძლებლობების ნარევს, რომელიც მიმართულია იმის ცოდნისაკენ, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ რამე. პროცედურულ ცოდნას ვიყენებთ მოქმედების განსაზღვრისათვის. ფაქტები და ცნებები უმეტესად დეკლარატიულ

ცოდნას მიეკუთვნება, წესები და ალგორითმები კი პროცედურული ცოდნის მაგალითებია. დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის გამოცდილებაზე, მის აღზრდასა და განათლებაზე (მ. ფირჩხაძე; 2013).

რაც შეეხება პირობისეულ ცოდნას, იგი გულისხმობს ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას, დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას და სხვადასხვა კონტექსტში ტრანსფერის შესაძლებლობას.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მერვე მუხლში („განათლების ენები და ენობრივი განათლება“) ნათქვამია, რომ ენა მთავარი იარაღია საგანთა შინაარსის შესამეცნებლად და ასათვისებლად, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ქართული ენისა და ლიტერატურის სიღრმისეულად სწავლება, რადგანაც იგი ერთგვარ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სხვა საგნების სწავლის პროცესში. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს უდიდესი პასუხმგებლობა ენიჭება, რადგან ქართული სწავლა-სწავლების ენაცაა.

ენის, როგორც საგნის მიზანი ენის სწავლებაა. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ასეთი საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული, როგორც მეორე ენა, აფხაზური ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა ენები. ჩვენ აქაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ არ ვსაუბრობთ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ინტეგრირებულად სწავლების საკითხზე. ჩვენი მიზანია, ვიკვლიოთ ქართული ენისა და ლიტერატურის, როგორც ერთიანი საგნის ინტეგრაცია სხვა სასკოლო დისციპლინებთან.

განათლების ენათა ინტეგრირებული სწავლება გულისხმობს, რომ „ენა, როგორც შემეცნებისა და აზრის გამოხატვის ინსტრუმენტი, ყველა საგნის კონტექსტში უნდა იქცეს დაკვირვების ობიექტად, რათა მოსწავლემ მიზანმიმართულად და გაცნობიერებულად გამოიყენოს იგი. სასკოლო საგნებს შორის უნდა გაიდოს „ენობრივი ხიდები“, რათა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის კონტექსტში შეძენილი ენობრივი ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთთან დაკავშირება. ეს გააფართოებს მოსწავლეთა ენობრივ ცნობიერებას და განავითარებს მათ შემეცნებით თუ ენობრივ უნარებს, რაც წარმატებული სწავლის საფუძველია” [ესგ. მუხლი 8]. ზემოთქმულიდან გამომდინარე,

შეგვიძლია კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ინტეგრირებული სწავლების მნიშვნელობას, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ინტეგრირებულმა გაკვეთილებმა მოსწვლეებს ეს ღრმა კავშირი უნდა დაანახოს, თუმცა მხოლოდ ეს არაა. ჩვენი კვლევის მიზანი შინაარსობრივი ერთიანობის დანახვაცაა, არამარტო ენის, არამედ ლიტერატურული პროცესისა და შინაარსის სხვა საგნებთან „გაერთიანების“ კუთხითაც.

ახალი ესგ ასევე გვთვაზობს განსხვავებულ მოდელს, რომელშიც „სასწავლო თემების“ ფარგლებში მუშავდება შედეგები და ცნებები. საგნობრივი პროგრამები თემის სახით სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. შესაძლოა ვთქვათ, რომ ეს საგანთშორისი ინტეგრაციის საწყისი ეტაპიც შესაძლოა იყოს.

იმ საგნებში კი, რომლებშიც სასწავლო თემები მჭიდრო არ უკავშირდება სტანდარტის შედეგებს, სავალდებულო თემების ნაცვლად თემატური ბლოკები, ჩარჩოებია წარმოდგენილი.

ეროვნული სასწავლო გეგმის გარდა, ინტეგრირებული გაკვეთილების როლი და მნიშვნელობა საკმაოდაა ხაზგასმული მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. კონკრეტულ მუხლებში, სადაც ჩამოთვლილია სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროფესიული უნარ-ჩვევები, ცოდნის ინტეგრაცია, როლი და მნიშვნელობა გამოყოფილია ცალკე.

როგორც ვიცით, ერთმანეთისაგან განირჩევა მასწავლებლის 4 სტატუსი: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. სტანდარტის მიხედვით, თითოეული მათგანის კომპეტენციები და მოვალეობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათ შორის, ინტეგრირებული გაკვეთილებისა და, ზოგადად, საგანთშორისი კავშირების დანახვის კუთხითაც.

ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია პრაქტიკოსი მასწავლებელი. სასწავლო პროცესის დაგეგმვის კომპონენტში არაფერია ნათქვამი საგანთშორისი კავშირების დამყარებაზე.

რაც შეეხება უფროს მასწავლებელს, მისი მოვალეობაა გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინოს შიდა და საგანთშორისი კავშირები.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს წამყვან და მენტორ მასწავლებლებს. კერძოდ, წამყვანი მასწავლებლის მოვალეობაა დაეხმაროს სხვა მასწავლებლებსაც ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვაში. მენტორმა მასწავლებელმა კი უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები და შექმნას მეთოდური რესურსები საგანთა ეფექტიანი ინტეგრირებისათვის.

ზოგადი დებულებების გარდა, ინტეგრირებულ გაკვეთილზე საუბარია საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტშიც, რომელშიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული ცოდნის, სწავლების მეთოდების, სასწავლო პროცესის წარმართვისა და შეფასების მუხლები. აღსანიშნავია, რომ საგანთშორისი კავშირების დამყარების აუცილებლობა ხაზგასმულია სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლების სტანდარტებშიც.

ჩვენი ყურადღების ცენტრშია სწავლების მეთოდები, რომლის მიხედვითაც საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს უნდა შეეძლოს სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთან თანამშრომლობა და ერთიანი სტრატეგიების შემუშავება, ინტეგრირებული გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა.

საგანთშორისი კავშირების დამყარებაზე საუბარია **მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარშიც**, კერძოდ, მის მეორე და მესამე ნაწილებში. „სასწავლო პროცესის დაგეგმვის“ ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს შიდა და საგანთშორისი კავშირებს. „სწავლების“ ნაწილში კი ნათქვამია, რომ პედაგოგი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს, თავად დააკავშირონ საკითხები ერთმანეთთან.

როგორც დავინახეთ, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება მასწავლებლის კეთილი ნება კი არა, პირდაპირი მოვალეობაა. ეროვნულ სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტი პედაგოგს უყენებს ამ მოთხოვნებს. თუ როგორ ხორციელდება ეს მოთხოვნები რეალურად, ამას კვლევა გამოავლენს.

აღსანიშნავია, ინტეგრირებულმა გაკვეთილმა მნიშვნელობა შეიძინა მასწავლებლის პორტფოლიოსთვისაც. პედაგოგის პროფესიული განვითარებისათვის,

რომელიც ურთიერთთანამშრომლობასაც ეფუძნება, სტატუსის ასამაღლებლად მასწავლებელს განესაზღვრა სამოდულო გაკვეთილის სავალდებულოდ ჩატარება. როგორც ვიცით, გამოყოფილია სამოდულო გაკვეთილის 4 ტიპი: ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული, გამჭოლი კომპეტენციის განვითარებაზე ორიენტირებული და ინოვაციური.

როგორც დავინახეთ, ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მომწესრიგებელ დოკუმენტებში ინტეგრირებულ გაკვეთილებს, როგორც ცოდნის ინტეგრაციის, გადატანის საშუალებას, მეტ-ნაკლებად საკმარისად ექცევა ყურადღება. თუმცა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა ვთქვათ, რომ საჭიროა ამ საკითხის მეტად სტიმულირება და წახალისება.

#### **4.1 ზოგადი განათლების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში**

ზოგადი განათლების სტრატეგიულ მიზნად სახელდება ეროვნული მიზნების მიღწევა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. თავის მხრივ, „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებად გვევლინება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება, რომელსაც აქვს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, მზად არის აკადემიური, საზოგადოებრივი და შრომითი აქტივობებისთვის, შეუძლია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და არის მაღალი პასუხისმგებლობის მქონე აქტიური და კონკურენტუნარიანი მოქალაქე“ [განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021].

სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემათა განსხვავებულობას ბევრი მიზეზი განაპირობებს, მათ შორის - ეკონომიკური მდგომარეობა, ისტორია და სხვა. ის რეფორმები, რომლებიც ბოლო პერიოდში ჩვენთან გატარდა, მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისაკენ. ჩვენ დღესაც გვჭირდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (და არამხოლოდ) პასუხობდეს გლობალურ მოთხოვნებს. რა თქმა უნდა, ეს გრძელი გზაა. ახალი სისტემის დანერგვა კი უამრავ

ფაქტორზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება განათლების სისტემის მუდმივი განვითარება.

მიუხედავად წინსვლისა, მოსწავლეთა აკადემიური შედეგები კვლავ რჩება გამოწვევად. 2015 წლის PISA-ის საერთაშორისო შეფასების მიხედვით, 15 წლის მოზარდების 50%-ზე მეტი ვერ აკმაყოფილებს მოსწრების ელემენტარულ დონეს.<sup>4</sup> ჩვენი მოსწავლეების წიგნიერების დონე მკვეთრად დაბალია სხვა ქვეყნის მოსწავლეთა მაჩვენებლებთან, რაც მიუთითებს სისტემის ხარვეზზე. ჩვენი ყურადღება არასაკმარისადაა ფოკუსირებული აზროვნების სწავლებაზე, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებასა და უნარების, ცოდნის ტრანსფერის შესაძლებლობაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წლებისათვის. იგი ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებსა და ამ მიმართულების გამოწვევათა ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ვერ მოხერხდა ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტური დანარგვა სასწავლო პროცესში. ერთი მხრივ, სასწავლო გეგმის ხარვეზებისა, მეორე მხრივ კი, მოქმედ მასწავლებელთა არასათანადო მზაობის გამო. ჩვენში კვლავ დგას პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. მათი უმეტესობა გაკვეთილს ტრადიციული მეთოდებით ატარებს. მასწავლებელთა კორპუსის საშუალო ასაკი ახალი კადრების მომზადების დიდ აუცილებლობაზე მიგვითითებს [განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია 2017-2012: 18]. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის უდიდეს გამოწვევად რჩება ზუსტად პედაგოგთა გადამზადება. ქვემოთ უკეთ განვიხილავთ, თუ როგორ უმკლავდებიან ამ პრობლემას სხვა ქვეყნები.

რაც შეეხება სასწავლო გეგმების ხარვეზებს, მასში ბევრ სხვა რამესთან ერთად მოიაზრება საგანთა შორის კავშირის ხარვეზებიც, რისი შედეგიცაა მოსწავლეთა არასაკმარისად ღრმა ცოდნა ნებისმიერი საგნის ფარგლებში. სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთი საშუალებაა ინტეგრირებული გაკვეთილი. მასწავლებელი, რომელიც ყოველდღე დგას ამ პრობლემის წინაშე, ცდილობს, საკუთარ გაკვეთილზე,

---

<sup>4</sup><http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf>

თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და კოლეგათა დახმარებით აღმოფხვრას სისტემის ეს ხარვეზი. თუმცა, რა თქმა უნდა, აუცილებელია სისტემური ცვლილება, მიზნებისა და ამოცანების მკაფიო ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში განხორციელება.



## თავი V - საგანთშორისი კავშირები - ისტორიული კონტექსტი

განათლების სისტემის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ რამდენიმე ასეული წლის წინ დაიწყო. სწავლების მიზნები, შინაარსი, მეთოდები, მიდგომები განსხვავებულია დროისა და სივრცის შესაბამისად. ყოველი ახალი ეპოქა ახალ გამოწვევას უსახავს განათლებას სისტემას, როგორც მუდმივად ცვალებად ორგანიზმს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვისაუბრებთ მთელი ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიაზე. თხრობას დავიწყებთ მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც უკვე ჩნდება ინტეგრირებული სწავლების ჩანასახები, რასაკვირველია, არა ამ სახელწოდებით.

განათლების ქართული სისტემა რამდენიმე პერიოდად იყოფა. ქართული მხოლოდ იმ გაგებით, რომ ეს სისტემა ჩვენს რეალობაში არსებობდა. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით - „საბჭოთა განათლების სისტემა საქართველოში“. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება 1921-1931 წლებში, რადგანაც სწორედ ამ დროს ჩნდება ტერმინი „კომპლექსური სწავლება“.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ განათლების სისტემა მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მაშინდელ (1914-1921) სკოლებში, ფაქტობრივად, არ არსებობდა სწავლა-განათლებისათვის საჭირო ელემენტარული პირობები, რომ არაფერი ვთქვათ სწავლების ხარისხზე, შინაარსსა თუ მეთოდებზე.

1921 წლიდან უკვე იკვეთება მაშინდელი სახალხო განათლების აგების ყველა ძირითადი პრინციპული საკითხი. 1921-1931 წლებში სკოლის სტრუქტურა, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანდასახულობა, ამოცანები და ამის შესაბამისად - სასწავლო გეგმები და პროგრამები ხშირად იცვლებოდა.

ოციანი წლების სასწავლო პროგრამების თავისებურებას შეადგენს ე.წ. „კომპლექსური სისტემა“ და „პროექტთა მეთოდი“. საბჭოთა განათლების დიდაქტიკოსები ძირითადად კიცხავენ ამ მოდელებს და მხოლოდ მათ უარყოფით მხარეებზე საუბრობენ, რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზები აქვს.

დიდაქტიკის ისტორიაში მრავალ ურთიერთგანსხვავებულ თეორიას ვხვდებით. მათ შორისაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს ბრძოლას ფორმალისტებსა და

მატერიალისტებს შორის. მათი თეორიები განხილვის საგანი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. მოკლედ ვისაუბრებთ ძირითადი დებულებების შესახებ.

ფორმალური განათლების თეორია მიიჩნევს, რომ მთავარია ისეთი ფსიქიკური უნარების განვითარება, როგორებიცაა: ნებელობა, ნიჭიერება, აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება და სხვა. ისინი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ცოდნის რაოდენობრივ მხარეს.

ამის საპირისპიროდ, მატერიალური განათლების თეორიისათვის ამოსავალია ისეთი სწავლება, რომელიც ორიენტირებულია მეტი მოცულობის ცოდნის დაუფლებისაკენ. მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ცოდნას თავისთავად აქვს განმავითარებელი ფუნქცია, შესაბამისად, უგულებელყოფენ ფსიქიკური უნარების განვითარებას.

ფორმალისტური განათლების თეორიამ ფეხი მოიკიდა ბურჟუაზიულ დიდაქტიკაში.

განათლების პრაგმატისტული თეორიის გამოხატულებაა სწორედ ე. წ. პროექტულ-კომპლექსური სწავლების სისტემები, რომლებიც გავრცელდა ბევრ ქვეყანაში და გარკვეული სახით დაინერგა 20-იანი წლების საბჭოთა სკოლაშიც. ამ თეორიის ფუძემდებლად ითვლება ჯონ დიუი, რომელიც კომპლექსურ-პროექტულ სისტემაში გულისხმობდა სასწავლო დისციპლინების დაქვემდებარებას თემა-პროექტისათვის.

იგი გააკრიტიკეს საბჭოთა დიდაქტიკოსებმა, რაც არცაა გასაკვირი. მათ დიუის იდეები არამართებულად აქვთ გააზრებული და ინტერპრეტირებული. მისი პროგრესული იდეები ვერ ერგებოდა იმ იდეოლოგიას, რომელიც ტარდებოდა მთელ კავშირში. მათი აზრით, იგი უარყოფს მოსწავლეთა მტკიცე შემადგენლობას, ასევე საკლასო მეცადინეობებს, სასწავლო დროის რეჟიმს, ცოდნის შეფასებას და ქმნის ე.წ. ბრიგადებს. დიდაქტიკოსები მას აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მასწავლებელი საერთო მეთვალყურის როლში გამოიყვანა და თითქოს მოითხოვა კიდეც ამ პროფესიის გაუქმება. იმდროინდელი განათლების მესვეურთა შეფასებით, ეს სისტემა შეერწყა სკოლის კვდომის ანტილენინურ „მემარცხენე“ ხასიათის პროექტორულ თეორიებს და

დიდი ზიანი მოუტანა სკოლას. მათ არ მოსწონდათ ის, რომ კომპლექსური სისტემით მუშაობა არ იყო ხელსაყრელი სასწავლო დისციპლინის სისტემური და თანმიმდევრული სწავლებისათვის, სასწავლო საგანი ითქვიფებოდა კომპლექსურ თემაში. დიდაქტიკოსების მთავარი არგუმენტი კომპლექსური სწავლების წინააღმდეგ იყო ის, რომ ასეთ პირობებში მოსწავლეთა შეიარაღება მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით ძნელი აღმოჩნდა. პრაქტიკულად, მოუხერხებელი გახდა მშობლიური და რუსული ენების, არითმეტიკისა და ზოგიერთი სხვა დისციპლინის მთლიანად ჩართვა კომპლექსში. დიუის მიაწერენ სკოლის კვდომის იდეას.

რას მოიცავდა კომპლექსური სწავლება?

კომპლექსური სწავლების სისტემაში სასწავლო დისციპლინის ცალკე სწავლება შეიცვალა კომპლექსური თემებით. ყოველი კომპლექსის ძირითად თემად ითვლებოდა შრომა, ბუნება, საზოგადოება. ობიექტური სინამდვილე შეისწავლებოდა კომპლექსურად, შერწყმულად, როგორც მთლიანი. კომპლექსზე მუშაობა მრავალ საქმეს მოიცავდა. ამ პროცესში მასწავლებლებს უნდა ჩაეტარებინათ ექსკურსიები, პრაქტიკული მეცადინეობა, საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა. მათ უნდა უზრუნველყოთ სქემებისა და დიაგრამების შედგენა, სურათების ხატვა, წერიტი მუშაობა, გაზომვის, გამოთვლისა და გამოანგარიშებათა წარმოება, დაკვირვება, ცდები, დრამატიზაცია-ინსცენირება, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და ა.შ. სახელმძღვანელოებსა და სხვა ლიტერატურულ მასალას კომპლექსზე მუშაობის დროს იყენებდნენ იმდენად, რამდენადაც ამას კომპლექსური თემა მოითხოვდა. მოსწავლეები ეცნობოდნენ და სწავლობდნენ არა სასწავლო დისციპლინას, არამედ ადამიანის შრომა-საქმიანობას, ბუნებასა და საზოგადოებას (გ. სიხარულიძე; 1974).

კომპლექსური სისტემის სწავლების იდეამ თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვა ე.წ. „პროექტთა მეთოდში“. 20-იან წლებში თავი იჩინა ასევე ზოგიერთმა „დამახინჯებამ“ და „გადახრამ“ პოლიტექნიზმის მარქსისტულ - ლენინური გაგებიდან. „მემარცხენეები“ გამოდიოდნენ შრომის თვითმიზანად გადაქცევისაგან და მოსწავლეთა საზოგადოებრივ - ნაყოფიერ შრომას აღზრდის უნივერსალურ პრინციპად აღიარებდნენ. მას უქვემდებარებდნენ სკოლის ამოცანებს და ნერგავდნენ „პროექტთა მეთოდს“.

1931 წელს სკოლებს დაეგზავნა პროექტთა მეთოდის საფუძველზე შედგენილი პროგრამები, რომელთა მიხედვითაც, უნდა ესწავლებინათ არა კლასში, არამედ პრაქტიკული შრომა-საქმიანობის, აქტიური შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. ეს გულისხმობდა სასწავლო პროცესის ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადატანას. მთელი სასწავლო მუშაობის საფუძველად გამოცხადებული იყო შრომა, პრაქტიკული საქმიანობა.

დიდაქტიკოსთა შეფასებით, მოსწავლეთა პრაქტიკულ შრომა-საქმიანობაში ჩაბმის, სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების იდეა მართებულია და მისაღები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „პროექტთა მეთოდის“ შემოღება და შრომა-საქმიანობის აღიარება სწავლისა და აღზრდის საფუძველად, გაუმართლებელია. მათთვის მიუღებელია კომპლექსური სისტემით მუშაობა, გაკვეთილების შეცვლა ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდით, სოციოლოგიზმით გატაცება, რადგან აქვეითებს სწავლა-აღზრდის ხარისხს სკოლაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვერ აიარაღებდა მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძველების ცოდნით, ვერ ამზადებდა მათ ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. ეს კი, მათი ინტერპრეტაციით, აფერხებდა მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, მეცნიერების წინსვლას, ქვეყნის კულტურულ აღმავლობას.

ოციანი წლების მეორე ნახევარში VI-X კლასებს ეძლევა პროფესიული მიმართულება. სკოლის მიზანია მისცეს მოსწავლეს ზოგადი განათლება და მოამზადოს თეორიულად და პრაქტიკულად მეურნეობისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში სამუშაოდ. ეს მიდგომა შეფასებულია, როგორც მარქსისტულ-ლენინური მიდგომის დამახინჯება, რადგანაც ამ ასაკის მოსწავლეთათვის ნაადრევი იყო ამგვარი სპეციალიზაცია.

სწავლებაში დიდი ადგილი ეჭირა შრომით აღზრდას და მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადებას. სკოლაში სწავლა-აღზრდის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა შრომა, როგორც ობიექტური სინამდვილის შემეცნების, ბუნებისა და საზოგადოების შესწავლის ძირითადი საშუალება. მეცნიერებათა

საფუძვლების სწავლება კი მეორეხარისხოვანი იყო. ისინი ამბობენ, რომ ნაკლებად ექცევა ყურადღება ასაკობრივ თავისებურებებსა და მისაწვდომობის პრინციპს.

ეს თეორიები აღკვეთეს 1931-1932 წლების ისტორიული დადგენილებით. ამის მიზეზად დასახელდა მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შეგნებული და მტკიცე შეთვისების უზრუნველყოფა.

რასაკვირველია, ეს მოდელები მალევე უარყო საბჭოთა სკოლამ. ზოგადი განათლება აგებული იყო პოლიტექნიზმის პრინციპზე. მისი ამოცანა იყო შეეიარაღებინა მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით, ჩამოეყალიბებინა მათში „მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მაღალი იდეურობა, მარქსისტულ-ლენინური ცხოვრებისეული პოზიცია, კომუნისტური ზნეობა, კოლექტივიზმი და სხვა ისეთი თვისებები, რომლებიც კომუნიზმის მშენებელი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი” [დ. ლორთქიფანიძე, 1981: 121].

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტზე. აკაკი თოფურია 1991 წელს გამოშვებულ „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდულ კურსში” საუბრობს თავად ტერმინის შესახებ. ის ამბობს, რომ ტერმინმა „კომპლექსური სწავლება” ფეხი მოიკიდა მეტყველებაში და ის შეიძლება გავრცელდეს „პრობლემური სწავლების” მსგავსად.

*„ამ ტერმინის წარმოშობას ბიძგი მისცა საკავშირო მასშტაბით ლიტერატურის პროგრამებში საგანთშორისი კავშირების სავალდებულო შემოღებამ. ეს აისახა IV-X კლასების პროგრამაშიც. მაგალითად, IV-VI კლასებში საგანთშორისი კავშირის კონკრეტული გამოხატულება იყო ცალკეულ პროგრამულ მასალასთან თუ მონაკვეთთან მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ისტორიის, ხოლო VIII-X კლასებში რუსული ლიტერატურის, ისტორიის, მუსიკის, ქანდაკების თუ სხვა დარგის შესაბამისი საკითხების, თემებისა თუ ნაწარმოების საორიენტაციო დასახელება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ლიტერატურა ყოველთვის იყო დაკავშირებული ქართული ენისა და ლიტერატურის თეორიის სწავლებასთან, რაც ამჟამად უფრო ღრმა ხასიათს იღებს, ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაფართოვდა თვით საგნის სწავლების მასშტაბი. თითქოს მან გლობალური, კომპლექსური ხასიათი მიიღო. აქედან*

*მომდინარეობს ტერმინის - „კომპლექსური სწავლების“ გავრცელების საშიშროებაც” [ა. თოფურია, 1991: 78].*

მისი აზრით, სინამდვილეში საქმე ეხება ლიტერატურის სწავლებაში კომპლექსური მიდგომის, კომპლექსური ელემენტების შეტანას, რაც არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს ქართულ ლიტერატურასთან ერთად მუსიკის, ისტორიის, რუსული ლიტერატურისა და სხვა საგნების კომპლექსურად სწავლებას. ეს ყველაფერი კი იმ დროის აუცილებელი მოთხოვნის გათვალისწინებით ხდება. იგი ამბობს, რომ IX-XI კლასის მოსწავლეები იცნობენ რუს მწერლებს და მათ შემოქმედებას, რაც ხელსაყრელ ვითარებას ქმნის ქართულ ლიტერატურულ მასალებთან კავშირის დამყარებისათვის. ამ საქმეში ყველაზე მოქნილი საშუალებაა ლიტერატურული პარალელების, მოვლენათა შედარება-შეპირისპირების, საკითხთა შეხსენების ხერხის გამოყენება. ზოგჯერ საკმარისია ინფორმაციული ცნობის მიწოდებაც კი .

აკაკი თოფურია მიიჩნევს, რომ ეს საკითხი ნათლად იყო განმარტებული ქართული ლიტერატურის წინა პროგრამის შესავალ ნაწილში. *„პროგრამაში განსაზღვრულია ლიტერატურის სწავლების შესაძლო კავშირი სხვა საგნებთან. ლიტერატურის გაკვეთილებზე აუცილებელი არ არის იმ ფაქტების დაწვრილებით გამეორება, რომლებიც უკვე ცნობილია მოსწავლეთათვის ისტორიის კურსიდან. მასწავლებელი ემყარება ამ ფაქტებს. საჭირო არ არის ლიტერატურის სწავლების კავშირი მუსიკასთან და სახვით ხელოვნებასთან გავიგოთ ისე, თითქოს გაკვეთილზე საჭირო იყოს ხელოვნების ამ დარგების მხატვრული ნაწარმოებების დაწვრილებითი ანალიზი. მასწავლებელი ემყარება ამ საგნებში მოსწავლეთა მიერ ადრე მიღებულ ცოდნას და ლიტერატურასთან ხელოვნების ნაწარმოებთა ურთირთკავშირს არკვევს თემატიკის, პრობლემატიკისა და ავტორთა იდეურ-ესთეტიკური პოზიციების საერთო ნიშნების საფუძველზე” [ა. თოფურია, 1991: 80].*

საბოლოოდ, იგი მიიჩნევს, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, სწავლებაში კომპლექსურობის ელემენტების შემოტანის თანამედროვე მოთხოვნა გამოყენებული იქნეს როგორც „კომპლექსური სწავლების“ მეთოდის შემოღების ან ამ ტერმინის გავრცელების მიზეზად და დაასკვნის, რომ ყოველივე აქედან გამომდინარე,

ლიტერატურის სწავლების მაგისტრალურ მეთოდებად კვლავინდებურად უნდა მივიჩნიოთ საუბრის, თხრობის და სასკოლო-სალექციო კურსი.

ოციან წლებში მუშაობა ტარდებოდა სასწავლო პროგრამების შედგენის დარგშიც. ეს პროგრამები, რასაკვირველია, ეფუძნებოდა მათ იდეოლოგიას და კომუნისტური აღზრდის პრინციპებს. ისინი შეცდომად აფასებენ იმას, რომ ჰუმანიტარულ საგნებში გამოიხატა გადაჭარბებული სოციოლოგიზმი, რაც აისახებოდა იმაში, რომ ისტორია შეიცვალა საზოგადოებათმცოდნეობამ, ლიტერატურის პროგრამასაც სოციოლოგიზმის პრინციპი დაედო საფუძვლად.

1928 წელს გამოიცა „მასწავლებლის თანამგზავრი“. ეს გახლდათ მეთოდური წერილების კრებული, რომელიც შეეხებოდა სწავლა-აღზრდის საკითხებს ოთხწლედის ფარგლებში. იგი მიუღებელი აღმოჩნდა სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ტექნიკუმებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნში შეტანილი წერილები კომპლექსური სისტემის სწავლების საფუძველზე იყო აგებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში საკმაოდ გამოკვეთილად გაშუქდა ძირითადი სასწავლო დისციპლინების (მშობლიურ ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და სხვა) სწავლების მეთოდიკის საკითხებიც.

კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც 1921-1931 წლების ქართული ლიტერატურის პროგრამებში თავისებურად გამოიკვეთა, კლასიკოსებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება იყო. ამ პერიოდში ქართული ლიტერატურა მოექცა საზოგადოებათმცოდნეობის „ორბიტაში“. ლიტერატურის სწავლებაში გაბატონებული იყო „ვულგარული სოციოლოგიზმის“ მეთოდი, რომელიც უარყოფდა მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკურ თავისებურებას. კომპლექსურ-თემატურ პრინციპზე აგებული ქართული ლიტერატურის პროგრამები 1930-იან წლებამდე წარმოადგენდა სკოლებში ამ ვულგარული სოციოლოგიზმის გავრცელების ძირითად წყაროს. შვიდწლიანი შრომის სკოლებისათვის გამოცემულ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში, რომელიც 1925 წელს გამოიცა, სოციოლოგიური მეთოდი პირდაპირ იყო აღიარებული ლიტერატურის სწავლების ერთადერთ სწორ მეთოდად.

*„ვინაიდან სიტყვაკაზმული მწერლობა უადრესად ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან იგი უმთავრესად სოციალური ხასიათისაა, რომელიც მიზნად ისახავს რეალური ცხოვრების ამა თუ იმ მხარეების გაშუქებას და მხატვრულად*

აღნუსხვას, ამიტომ ლიტერატურის ნიმუშები შეიძლება ადვილად დავაკავშიროთ სხვა სასკოლო საგნებთან და განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან. აქედან გამომდინარეობს თვით მუშაობის მეთოდის ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. იგი უნდა იყოს ესთეტიკურ კრიტიკასთან ერთად წმინდა სოციოლოგიური მეთოდი” [„შვიდწლიანი შრომის სკოლის პროგრამები, 1925: 73]. ამის შესაბამისად, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ლიტერატურულ-მხატვრული მასალები დალაგებული იყო თემატურად, რასაც საფუძვლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ბუნება, შრომა და საზოგადოება” ედო.

აკაკი თოფურია ლიტერატურის სწავლების მეთოდის მიმართულებაზეც საუბრობს და მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივ-მეცნიერების სწავლება ცუდად იყო დაყენებული. იგი ამას „ლიტერატურის მორჩილებას” უწოდებს და მიიჩნევს, რომ თემები ხელოვნურად იყო შერჩეული სოციალურ-პოლიტიკური საკითხების ირგვლივ, მხატვრულ ნაწარმოებთა ამგვარი დაჯგუფება კი ძირს უთხრიდა ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას, მის იდეურ-აღმზრდელობით და ემოციურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას, ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში ათვისებას, აფერხებდა ლიტერატურის სწავლების სწორად დაყენებულ საქმეს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ 1932 წლის დადგენილების მიხედვით, საგრძნობლად უნდა გაძლიერებულიყო ისტორიზმის ელემენტები საზოგადოების მეცნიერების, ენისა და ლიტერატურის და გეოგრაფიის პროგრამებში.

მოგვიანებით, „XX საუკუნის 60-იან წლებში, კაპიტალისტურ ქვეყნებში - აშშ-ში, საფრანგეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი დაპროგრამებული, ალგორითმული და პრობლემური სწავლების თეორიებმა. ისინი ეყრდნობოდნენ ბიჰევიორიზმს და ამტკიცებენ, რომ „თითქოს მთავარია ხდებოდეს მოსწავლეთა ე. წ. გადარჩევა და ისეთი ტალანტების გამოყოფა, რომლებიც უკვე სკოლის მერხიდანვე კვლევის გზით ეწევიან მეცნიერების შესწავლას, რომ თითქოს მთავარია სწავლება ეწყობოდეს ინდივიდუალური წესით, სწავლების მთავარ ამოცანას წარმოადგენდეს არა ცოდნის შეთვისება, არამედ ის, თუ როგორ შეითვისოს ცოდნა. სწავლება სწავლის სწავლას უნდა წარმოადგენდეს, მოსწავლეებს მოეთხოვებათ თვითონ აღმოაჩინონ ჭეშმარიტებანი და



ეს უნდა წარმოადგენდეს ყოველგვარი სწავლების განმსაზღვრელ პრინციპს” [დ. ლორთქიფანიძე, 1981: 17]. ამ წინადადებების წაკითხვისას შეიძლება გვეგონოს, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის რომელიმე დებულებას ვეცნობით. აქ გაკრიტიკებული ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი, აღმოჩენებით სწავლება, სწავლის სწავლა დღეს ყველაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.

როგორც დავინახეთ, საბჭოთა იდეოლოგია ცალსახად უარყოფდა ამ თეორიებს, ეს კი ისევ იდეოლოგიის მიზნებიდან გამომდინარეობს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი სწავლების მომხრეები უარყოფენ ერთიან სასწავლო შინაარსს, ერთიან სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სახელმძღვანელოებს, ერთიან საკლასო-საგაკვეთილო სისტემას. სოციალისტურმა პედაგოგიკამ და ფსიქოლოგიის მეცნიერებამ ეს მეთოდები დაგმო, როგორც კომუნისტურ აღზრდასთან შეუთავსებელი, ეს არცაა გასაკვირი, რადგან მათთვის განვითარების ძირითადი გზა პოლიტექნიკური განათლება გახლდათ - თეორიული სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოდნის კომპლექსურობისა და სამყაროს ერთიანად აღქმის პრობლემებზე საუბარი ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ დაიწყო. რასაც ადრე კომპლექსურ სწავლებად მოიხსენიებდნენ, დღეს კი ინტეგრირებულ მოდელს ვუწოდებთ. როგორც დავინახეთ, საბჭოთა დიდაქტიკოსების მიერ მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული ჯონ დიუისის იდეები და მიდგომები, რომელთაც დღეს იყენებს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა. ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ მეთოდზე და არა მასში ჩადებულ შინაარსზე. პედაგოგიკის ისტორია აკრიტიკებს მთლიანად კომპლექსურ მოდელს, როგორც გამოუსადეგარს იდეოლოგიური საჭიროებებისათვის. დღევანდელი სამყარო კი სრულიად სხვა რეალობას გვისახავს, სადაც პრიორიტეტული სწორედ ამგვარი მიდგომებია.

## თავი VI - სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა

### 6.1. ფინეთის გამოცდილება

მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ევროპულ და ქართულ განათლების სისტემას შორის ამოცანებია. ისინი ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, მოამზადონ რეალური ცხოვრებისათვის და, რაც მთავარია, ასწავლონ აზროვნება, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, რათა შემდგომში გაცნობიერებულად აირჩიონ პროფესია, რაც ხშირ შემთხვევაში მთელი მათი ცხოვრების განმსაზღვრელიც შეიძლება გახდეს.

მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის დაცვა ჩვენს სისტემაშიც სავალდებულოა, თუმცა ევროპული მიდგომა მეტად პერსონალიზებულია, რაც გამოიხატება მეტ თავისუფლებაში სასურველი საგნების არჩევის კუთხით. ევროპული განათლება მაინც ზოგადი ცნებაა, ამიტომაც უფრო კონკრეტულად განვიხილავთ განათლების ექსპერტთა თუ მესვეურთა უდიდესი ნაწილის აღფრთოვანების ობიექტს, ფინურ სასკოლო მოდელს.

საგნების ინტეგრაცია და სწავლისა და სწავლისადმი ჰოლისტიკური მიდგომა ფინეთში არ არის ახალი. 1970-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ნაკლებგანვითარებული განათლების სისტემა ჰქონდათ და არც ეკონომიკური მდგომარეობა იყო სახარბიელო, თუმცა მათ კარგად გაიაზრეს ცვლილების საჭიროება და უკვე 1980-იანი წლებიდან, ფინეთის სკოლები ამ გზით ექსპერიმენტების ობიექტები არიან. ბევრ ფინურ სკოლაში ეს უკვე სწავლების კულტურის ნაწილია. ახალმა რეფორმამ კიდევ უფრო მეტი ცვლილება მოუტანა საშუალო სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც ტრადიციულად უფრო მეტს მუშაობდნენ თავიანთი საგნების მიმართულებით, ვიდრე კოლეგებთან ერთად.

ფინეთი პირველია მათ შორის, ვინც შეძლო და ძირეულად შეცვალა განათლების სისტემა. მათ დაიწყეს „ფენომენზე დაფუძნებული სწავლების“ მოდელის გამოყენება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, არ მიეჯაჭვონ სტანდარტული საგნების სახელმძღვანელოებს და გამოსცადონ უფრო მეტად გლობალური და ინტერდისციპლინური სწავლება.

„ფენომენზე დაფუძნებული სწავლება“ გულისხმობს საგანთა დაკავშირებას კონკრეტული ვიწრო ან ფართო თემის ფარგლებში. სხვა მოდელებისაგან განსხვავებით, აქ ამოსავალი შესასწავლი ობიექტია, სასწავლო დისციპლინები კი - მხოლოდ საშუალება. მოსწავლე ირჩევს იმ თემას, რომელიც აინტერესებს და ყველა საჭირო დისციპლინიდან ისწავლის იმ ნაწილებს, რომლებიც სწორედ ამ საკითხს მიემართება. პირველხარისხოვანია ობიექტი, რომელსაც ისინი მრავალმხრივ შეისწავლიან. მაგალითად, „წყალი“ არა ქიმიიდან ან ბიოლოგიიდან, არამედ უშუალოდ ინტერდისციპლინური პარადიგმით, როგორც ქიმიური და ბიოლოგიური, ისე გეოგრაფიული ჭრილით.<sup>5</sup> ეს ზოგადი განათლებაა. მოსწავლეს სააზროვნო არეალს უფართოებს, როდესაც ერთ საგანს აკვირდება სხვადასხვა კუთხიდან. მაგალითად, ვსწავლობთ კონკრეტულ დისციპლინას და ამ ჭრილიდან განვიხილავთ კონკრეტულ საგანს, როდესაც ეს საგანი ამოწურავს საკუთარ თავს ამ დისციპლინაში და გადადის უკვე სხვა დისციპლინის კომპეტენციაში, ამ საგნის კვლევა წყდება, დღევანდელი სამყარო კი საგნებზე დაკვირვებას მრავალი თეორიიდან ითხოვს, ამიტომაც სკოლა, როგორც ზოგადი განათლების სისტემა, საჭირო უნარებს ასეთი მეთოდებით უკეთ გამოუმუშავებს.

როგორც აღმოჩნდა, ეს მოდელი მეტად ეფექტურია და საინტერესო როგორც უშუალოდ მოსწავლეთათვის, ასევე სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებისთვის.

განათლების ფინური სისტემა ხშირად წარმატებულად მიიჩნევა საერთაშორისო ტესტებზე მაღალი ქულების წყალობით. ჰელსინკის განათლების მენეჯერმა, მარჯო კილონონმა რამდენიმე წლის წინ თქვა, რომ ქვეყნის იმჟამინდელი სისტემა არ იყო საკმარისად კარგი იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიეღოთ ინფორმაცია და განევიტარებინათ ის უნარები, რომლებიც რეალურ სამყაროშია საჭირო. ამ ყველაფერს კი საერთაშორისო ტესტები ვერ ზომავს. მისი აზრით, განათლების მიზანია რომ ბავშვებს მივცეთ ის უნარები, რომლებიც საჭიროა დღეს და ხვალ.

სისტემა, რომელსაც „ფენომენზე დაფუძნებულ სწავლებას“ ვუწოდებთ, 2016 წლიდან ამოქმედდა. მან თეორიულად შეცვალა ტრადიციული საგნების მოდელი ინტერდისციპლინური პირობებისათვის, რომლებიც ეფუძნება უფრო ფართო თემებს,

---

<sup>5</sup> <http://bfm.ge/guri-sultanishvili-finuri-saskolo-modeli/>

ამას კი ხელი შეუწყო იმანაც, რომ ფინურ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში არ არსებობს მკაცრად რეგლამენტირებული ნაციონალური კურიკულუმი, რაც საშუალებას იძლევა, სკოლამ დისციპლინების მაგივრად ბავშვს ასწავლოს უშუალოდ საგანი.

ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, უმტკივნეულო არ იქნებოდა მასწავლებლებისთვის. განათლების სისტემის ძირეული ცვლილება მეტად რთული რამაა. ყოველდღიურ რეჟიმში ყველაზე მეტად მასწავლებლებზე აისახება და მათ მხრებზე გადადის. რეალურად, სწორედ მათ უწევთ მთავარი საქმის გაკეთება და ცვლილებების შეტანა თითოეულ საკლასო ოთახში. წარმატების ერთ-ერთი საშუალება თანამშრომლობაა, მით უფრო, როცა ინტერდისციპლინურ მიდგომაზე ვსაუბრობთ. სიახლე ტრადიციულ სკოლებში მყოფ მასწავლებლებს უბიძგებს, რომ მეტად ითანამშრომლონ თავიანთ კოლეგებთან, თუნდაც მხოლოდ მოკლე დროით. ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც გაცილებით დიდი გამოცდილების მქონე სკოლების გაკვეთილებზეა დაფუძნებული, ხელს უწყობს მასწავლებლებთან თანამშრომლობას და სწავლებას ხდის უფრო მრავალმნიშვნელოვანს მოსწავლეთათვის.

ინტერდისციპლინური კურსის დაგეგმვის პროცესში პედაგოგებმა უნდა ითანამშრომლონ მოსწავლეებთანაც. ახალ სისტემაში ფინურმა სკოლებმა წლის განმავლობაში უნდა მიაწოდონ თითოეულ მოსწავლეს მითითებათა, ინსტრუქციათა ერთი ნაწილი, რომელიც აერთიანებს ორ ან მეტ საგანს. მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც მოსწავლეები ჩართულნი არიან დაგეგმვის პროცესში, მათი შერჩეული თემები საინტერესო უნდა იყოს სწორედ მათთვის და ზუსტად ეს გამოიწვევს შთაგონებას. ყველანაირი საქმიანობა ეფუძნება ნდობას და ეს ნდობა ასევე გამოიხატება სკოლების მოსწავლეებთან მიმართებითაც.

სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა რეფორმის წარმატებულობა. მათ რეალურად შეძლეს იმის განხორციელება, რაც იდეისა და თეორიის დონეზე მანამდეც არსებობდა. ინტერდისციპლინური მოდელი საუკუნის სიახლე ნამდვილად არაა. ფესვების ძებნა უფრო შორს წაგვიყვანს. შესაძლოა ვთქვათ, რომ ფინელებმა წარსულ ცოდნას, იდეებსა და გამოცდილებას ხორცი შეასხეს და სისტემური ხასიათი მისცეს.

როგორც ფინელი პედაგოგები ამბობდნენ, ეს პროგრამა ისევე ჟღერს, როგორც დიუის სიცოცხლეში განხორციელებული „ღია საკლასო ოთახები“. ეს უკანასკნელი

დაახლოებით 40-50 წლის წინათ მოხდა და მანამდეც, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. სინამდვილეში საგნების შერწყმის იდეა სულ ცოტა საუკუნის წინ ამერიკელ ფილოსოფოსსა და საგანმანათლებლო რეფორმატორს, ჯონ დიუის, ჰქონდა, რომელიც მიიჩნევდა, რომ სკოლა უნდა იყოს დაკავშირებული რეალურ ცხოვრებასთან. დიუი, როგორც ინსტრუმენტალიზმის ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელი, მიიჩნევდა, რომ განათლება მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას კი არ ნიშნავს, არამედ იგი ემყარება გამოცდილებას. ის სწავლას ყოფს რამდენიმე ეტაპად. პირველია პრობლემის აღმოჩენა, შემდეგ მისი განსაზღვრა და გადაჭრის გზების შეთავაზება, ამ გზების შეფასება წარსული გამოცდილების საფუძველზე და საუკეთესო გზის გამოცდა.

დიუი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცოდნის ერთიანობას. მისი აზრით, „გახლეჩილი სამყარო, ანუ სამყარო რომლის შემადგენელ ნაწილებსა და ასპექტებს შორის ურთიერთკავშირი დარღვეულია, პიროვნების გახლეჩის ნიშანი და მიზეზია“.<sup>6</sup> პიროვნების მთლიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სამყაროს გავიაზრებთ ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა ერთ მთლიანობად.

აღსანიშნავია, რომ დიუის იდეები ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

*„პრაგმატიკულმა პედაგოგიკამ ფეხი მოიკიდა აგრეთვე საბჭოთა კავშირში ჩვენი სკოლის განვითარების პირველ ეტაპზე. მან დიდი ზიანი მოუტანა საბჭოთა სკოლას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 5 ნოემბრის და 1932 წლის 25 აგვისტოს სკოლის შესახებ მიღებული დადგენილებით აღკვეთა პრაგმატიზმის გადმონერგვის ცდები და გამოამუღავნა მისი ანტიმეცნიერული ხასიათი“ [დ. ლორთქიფანიძე, 1981: 35].*

როგორც ვნახეთ, მსგავსი მოდელის იდეა მანამდეც იყო, თუმცა იგი პრაქტიკაში ვერ განხორციელდა. პედაგოგებმა რამდენიმე მიზეზის გამო თქვეს უარი ამ მიდგომაზე. ინტერდისციპლინური მიდგომა არ შეესაბამებოდა საჯარო სკოლების ზოგად ფორმატს, რომელშიც მოსწავლეები მომავალ კლასში გადასვლამდე გარკვეულ მასალას სწავლობენ, თუმცა მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო. სისტემა უფრო მეტ პედაგოგს ითხოვდა, რომლებსაც რამდენიმე საგანი ეცოდინებოდათ სიღრმისეულად და შეძლებდნენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული

<sup>6</sup> <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-diui.pdf>

დავალებებისა და სავარჯიშოების მომზადებას. მაშინ, ახლებური მიდგომის ხელშემწყობი ვერც სისტემა აღმოჩნდა და ვერც მასწავლებელი. ფინელი პედაგოგები კი უკეთესად აღმოჩნდნენ მომზადებულნი. სისტემა მათ მაღალ სტანდარტებს უწესებს. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს, თუ მასწავლებლება სურთ. ეს პროფესია განსაკუთრებით პატივსაცემი გახდა. ათიდან მხოლოდ ერთ შეუძლია საკლასო ოთახამდე მისვლა.<sup>7</sup> ყველა მათგანს აქვს მაგისტრის ხარისხი.

## 6.2 ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება

რაც შეეხება თანამედროვე ამერიკას, ამ მხრივ მათ მცდელობები არ შეუწყვეტიათ, თუმცა ისინი ჯერ კიდევ იზოლირებულად ასწავლიან საგნებს. ინტეგრირებული სწავლების როლსა და მნიშვნელობაზე საუბარი დიდი ხანია მიმდინარეობს. მათ ათწლეულების განმავლობაში უამრავი კვლევა ჩაატარეს. განსაკუთრებით საინტერესოა პროექტი „ნული“<sup>8</sup>, რომლის მკვლევრებმა, ჰარვარდის საგანმანათლებლო სკოლაში შეისწავლეს ინტერდისციპლინური მუშაობის ფართო სპექტრი, დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოწვევებიდან, დამთავრებული მოსწავლეების რთული და კომპლექსური მომავლის მომზადებისათვის. მათ აღმოაჩინეს, რომ ინტერდისციპლინური გაგება თანამედროვე ცოდნის წარმოების ნიშანია და ასევე, ესაა მთავარი გამოწვევა დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემისთვის და ამ სისტემაში დასაქმებული ადამიანებისათვის.

აღნიშნული პროექტის წამომწყებებმა დაიწყეს სწავლების პროცესის გააზრება ხელოვნებაში და ხელოვნების გზით. ისინი ხაზს უსვამენ ინტეგრირებული სწავლების მიზანს. მოსწავლეები აერთიანებენ კონცეპტებს, მეთოდებს ორი ან მეტი დისციპლინიდან და აყალიბებენ იდეებს, ჭრიან პრობლემებს, ქმნიან პროდუქტს და უჩნდებათ ახალი კითხვები - ეს ყველაფერი კი ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში. ინტეგრირებული სწავლის მიდგომა არა მარტო ამზადებს სტუდენტებს რეალური პრობლემების მოგვარებაში, არამედ უამრავ სარგებელს იძლევა დაწყებული მოსწავლეთა ჩართულობიდან, დამთავრებული შინაარსის სიღრმისეული წვდომამდე.

<sup>7</sup> [https://www.oph.fi/english/education\\_system/teacher\\_education](https://www.oph.fi/english/education_system/teacher_education)

<sup>8</sup> <http://www.pz.harvard.edu/who-we-are/about>

როგორც აღვნიშნე, ინტეგრირებული სწავლების უპირატესობა 21-ე საუკუნის მონაპოვარი არაა. ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, ამერიკული განათლების მნიშვნელოვანი ფიგურა, რალფ ტაილერი, სწავლების პროცესისათვის არსებითად მიიჩნევდა საგანთა შორის კავშირებს. მისი ნააზრევი ეყრდნობოდა მის სამუშაო გამოციდილებას. 1930-იან წლებში იგი საშუალო სკოლის 30 მოსწავლეს აკვირდებოდა. მან აღმოაჩინა, რომ მოსწავლეების განათლების ხარისხი გაუმჯობესდა, რადგან კონკრეტული შინაარსი ისწავლებოდა არა მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში, არამედ ისეთი ყოვლისმომცველი თემებით, რომლებიც აერთიანებდა სხვადასხვა დისციპლინას.

ტაილერის კოლეგამ, განათლების ფსიქოლოგმა, ბენჯამენ ბლუმმა, რომლის სახელსაც ატარებს აზროვნების დონეების პირამიდა (ე.წ. ბლუმის ტაქსონომია) კურიკულუმში გააძლიერა საგანთა შორის ინტეგრაციის ჯაჭვი.

1997 წელს ინტეგრირებული სწავლება ყოვლისმომცველად განიხილეს სანდრა მატისონმა და მელისა ფრიმანმა. მათ ნაშრომს ერქვა „ინტერდისციპლინური სწავლების ლოგიკა“. ავტორებს ჰქონდათ რამდენიმე სასარგებლო მიგნება მოსწავლეთათვის. მათ დაადგინეს, რომ სწავლების ამგვარი მოდელი ეხმარება ისეთი ცხოვრებისეული უნარ - ჩვევების შექმნაში, როგორებიცაა თანამშრომლობა და პრობლემის მოგვარება. დადებით მხარედ სახელდება ასევე გაზრდილი მოტივაცია და აკადემიური მიღწევა, სწავლისადმი უკეთესი დამოკიდებულება და მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის უფრო მრავალმნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

საინტერესოა სუზამ დეიკისა და რებეკა ბურნსის კვლევა. მათი ინტერესის სფერო მოიცავდა ინტეგრირებულ სწავლებას არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ საერთაშორისო დონეზეც. ისინი არიან ავტორები ნაშრომისა „თანმხვედრი სტანდარტები ინტეგრირებულ კურიკულუმში“. მათი აზრით, სტანდარტები არ არის ინდივიდუალური ამოცანები, რომლებიც სხვადასხვა საგანში იზოლირებულად უნდა გადავჭრათ. მასწავლებლებს შეუძლიათ გაეცნონ სტანდარტებს როგორც ცალკეულ დისციპლინაში, ასევე ინტერდისციპლინირებულად. მათ უნდა გაიაზრონ, თუ როგორ უკავშირდებიან სტანდარტები ერთმანეთს, ამის შემდეგ კი მათი წარმოდგენა ინტეგრირებული სწავლების მიმართ ძალიან იცვლება. იაკობსონი ამბობს, რომ ჩვენ ერთმანეთს კი არ ვუპირისპირებთ ინტეგრირებულ სწავლებასა და ცალკეულ

დისციპლინებს, არამედ ჩვენ გვჭირდება დისციპლინაზე დაფუძნებული მუშაობა, მაგრამ საჭიროა მოდერნიზება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ უნარების ეფექტურად გამოყენება და რეალური, ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრისათვის. ვფიქრობ, მათი მიდგომა ძალიან საინტერესოა. მასწავლებლები არ უნდა შემოისაზღვრონ მხოლოდ საკუთარი შიდა საგნის სტანდარტებით, რადგანაც განათლების მიზანი, საბოლოოდ, ერთიანია და მისი მიღწევა გუნდურად უფრო ეფექტიანია.

### 6.3. გერმანიის გამოცდილება

როგორც დავინახეთ, ხშირ შემთხვევაში პრობლემა განათლების სისტემა, მასწავლებელთა დამოკიდებულება ან არასაკმარისი კომპეტენციაა. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ყველაზე წინ გერმანია წავიდა.

განათლების სისტემა გერმანიაში საშუალებას აძლევს შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებს, ორი საგნის სპეციალიზება შეძლონ. ეს ყოველივე კი ძალზე ხელშემწყობია ინტერდისციპლინური კურსების ჩამოსაყალიბებლად, რადგანაც სასწავლო გეგმა მოითხოვს მეცნიერ მასწავლებლებს, რომლებიც ბიოლოგიის, გეომეტრიისა და ისტორიის კურსების ექსპერტები არიან. ინტერდისციპლინური კურსების მასწავლებლები კარგად არიან მომზადებულნი.

რაც შეეხება მათ კურიკულუმს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საგანზე ორიენტირებულია. კურსები იყოფა საგნებად თუ დისციპლინებად, თუმცა ინტერდისციპლინური მიდგომებიც საკმაოდ აქტუალურია. განათლებისა და კულტურის საქმეთა სამინისტროები არიან პასუხისმგებელნი საგანმანათლებლო გეგმებზე.

კურიკულუმის ცვლილების ან გადასინჯვის შემთხვევაში კომისია დაინიშნება მასწავლებლების, სკოლის ინსპექტორების, სკოლის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენლებთან, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საექსპერტო სპეციალისტებთან.

კომისია განიხილავს კურიკულუმის ძირითად კომპონენტებს, როგორებიცაა ამოცანების განსაზღვრა, შერჩევა, სწავლების მეთოდების შინაარსი და იდენტიფიკაცია.



ზოგიერთ სახელმწიფოში, კურიკულუმის შექმნის პროცესი დასრულდა საცდელი პროცესის შედეგად გამოთქმული მოსაზრებების გადახედვის შემდეგ.

როგორც ვხედავთ, ინტეგრირებული სწავლების უდიდეს როლსა და მნიშვნელობაზე საუბარი ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. რამდენიმე ქვეყანამ შეძლო და განახორციელა ის იდეები, რომელთა ჭეშმარიტებაც უამრავმა კვლევამ დაადასტურა. ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში ამგვარი მოდელის დანერგვა ჯერ არ განიხილება, თუმცა, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ჩვენთვის პრიორიტეტული საფუძვლის მომზადება უნდა იყოს. ინტეგრირებული გაკვეთილი ცოდნის კონსტრუირების, სამყაროს ერთიანობის აღქმის საუკეთესო მოდელია.

## კვლევითი ნაწილი

### კვლევის ზოგადი აღწერა

შესაბამისი ლიტერატურის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის შემდგომ შევიმუშავეთ კვლევის მეთოდოლოგია. მიზნად დავისახეთ, გამოგვეკვლია ინტეგრირებული გაკვეთილების პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე, (ქართული ენისა და ლიტერატურის მაგალითზე). კვლევას საფუძვლად დაედო ჰიპოთეზა, რომ ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში არ ტარდება ცოდნის ტრანსფერისათვის აუცილებელი რაოდენობისა და ხარისხის ინტეგრირებული გაკვეთილები.

**კვლევის ინსტრუმენტად** გამოვიყენეთ ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. კვლევის **სამიზნე ჯგუფი** გახლდათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მასწავლებლები. გვსურდა გამოგვეკვლია რიცხოვრივი და თვისებრივი მსგავსება - განსხვავებები საჯარო და კერძო სკოლების მონაცემებს შორის, შესაბამისად, ვეცადეთ, თანაბარი რაოდენობით გამოგვეკითხა მათში მომუშავე პედაგოგები. ვიფიქრეთ, მონაცემების განზოგადების მეტ საშუალებას მოგვცემდა რაიონული განფენილობის გათვალისწინებაც. სამწუხაროდ, მოგვიწია მხოლოდ თბილისის სკოლებით შემოვფარგლულიყავით, თუმცა შესაძლებლობების ფარგლებში, გამოკითხვამ მოიცვა თბილისის სხვადასხვა რაიონის სკოლები.

რასაკვირველია, გვსურდა რაც შეიძლება მეტი მასწავლებლის კვლევაში ჩართვა, თუმცა მხოლოდ 51 მასწავლებლის გამოკითხვა მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ უმეტესობას არ სურდა კითხვარში სახელისა და გვარის, სკოლის მითითება. **კვლევის შეზღუდვად** შესაძლოა ჩაითვალოს ის, რომ რამდენიმე სკოლის დირექტორმა არ მოგვცა მასწავლებლების გამოკითხვის საშუალება, მიზეზად კი მათი მოუცლევლობა დაასახელა. ზოგიერთი მათგანი ცდილობდა, მხოლოდ მაღალი სტატუსის და ავტორიტეტის მქონე მასწავლებლები გამოგვეკითხა, მიუხედავად იმისა, რომ განვუმარტეთ მათი მონაცემების კონფიდენციალურობისა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების უმეტესობა არ გამოირჩეოდა მაღალი კოლეგიალობით და მიზეზად უდროობას ასახელებდა. ამის შემდეგ მათ კითხვარის

ელექტრონული ვარიანტის გაგზავნას ვთავაზობდით, თუმცა პასუხი არ იცვლებოდა. რამდენიმე შემთხვევაში, შევთანხმდით კითხვარის ელექტრონულად გადაგზავნაზე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მათი პასუხები მაინც ვერ მივიღეთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე სკოლის დირექტორი ძალიან დაგვეხმარა, გაიგო რა ჩვენი მიზნები, დაუკავშირდა მასწავლებლებს და სთხოვა, მიეღოთ კვლევაში მონაწილეობა.

### **კვლევის შედეგები**

რაც შეეხება უშუალოდ კითხვარს, იგი რამდენიმე ღია და დახურული კითხვისაგან შედგებოდა. იგი შევიმუშავეთ მეორეული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ.

საერთო სურათის უკეთ აღქმისათვის, ვგიქრობთ, უკეთესი იქნება თუ ერთი და იმავე შინაარსის მოსაზრებებსა და შეხედულებებს შეჯერებული სახით წარმოვადგენთ.

პირველი ნაწილში, (რომლის მთლიანად შევსებაც არ იყო სავალდებულო), მათ უნდა დაეწერათ თავიანთი ვინაობა, ასაკი, სკოლა, სტატუსი და ის, თუ პედაგოგად მუშაობის რამდენწლიანი გამოცდილება აქვთ.

კვლევის მონაწილე პედაგოგთა საშუალო ასაკი 47 წელია, დიაპაზონი - ოცდასამიდან სამოცდაათ წლამდე. უმეტესობას მასწავლებლობის 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს.

რაც შეეხება მათ სტატუსს, 36 მათგანი უფროსი, ხოლო დანარჩენი 15 პრაქტიკოსი მასწავლებელია. სამწუხაროდ, საკვლევ სკოლებში ვერ შევხვდით წამყვან ან მენტორ პედაგოგებს.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვსურდა თანაბარი რაოდენობის საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა გამოკითხვა, შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 26 საჯარო და 25 კერძო სკოლის მასწავლებელმა.

მეორე და მთავარი ნაწილი ეთმობა უშუალოდ საკვლევ თემას. კითხვებსა და პასუხებს შეჯერებული სახით წარმოვადგენთ.

1) რამდენად კარგად იყენებენ თქვენი მოსწავლეები სხვა საგანში მიღებულ ცოდნასა და უნარებს? შეაფასეთ ხუთბალიანი სისტემით. (1- ძალიან ცუდად, 5- ძალიან კარგად)

როგორც ვხედავთ, პედაგოგების უმრავლესობა ამ კითხვაზე აფიქსირებს პასუხს სამი (საშუალოდ) ან ოთხი (კარგად). დაახლოებით 16 % ამბობს, რომ მათი მოსწავლეები „ძალიან კარგად“, ხოლო 6 % - „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“ იყენებენ სხვა საგანში მიღებულ ცოდნასა და უნარებს.


დიაგრამა 1



2) რამდენად ხშირად აწყდებით ცოდნის ცალმხრივობის, მოსწავლეთა მიერ საგანთშორისი კავშირების ვერდანახვის პრობლემას? შეაფასეთ ხუთბალიანი სისტემით. (1 - ყოველთვის, 5 - არასდროს)

რესპონდენტთა უმრავლესობა, 47% გვეუბნება, რომ ამ პრობლემას ხშირად აწყდება. 31 % აფიქსირებს პასუხს - „იშვიათად“. გამოკითხულთა მხოლოდ 4% მიიჩნევს, რომ ამ პრობლემას ყოველთვის აწყდება. ამის საპირისპიროდ, 6 % აფიქსირებს პასუხს „არასდროს“. 12 % ამ პრობლემას ძალიან ხშირად აწყდება.

დიაგრამა 2



**3) თქვენი აზრით, რამდენად არის მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების ინტეგრაცია და რატომ?**

პედაგოგები ერთხმად ამბობენ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფუნდამენტური, კომპლექსური, სრულყოფილი, საფუძვლიანი ცოდნის მიღებისათვის. უმეტესობა აღნიშნავს, რომ ცოდნისა და უნარების ინტეგრაცია ავითარებს სააზროვნო უნარებს და ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

რამდენიმე მასწავლებელი ასევე გვეუბნება, რომ:

„მნიშვნელოვანია, რადგან მოსწავლე უნდა ხვდებოდეს, რომ სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ეს სწავლის პროცესს უფრო საინტერესოსა და ხალისიანს ხდის“;

„ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სხვაგვარად ცოდნა ვერ იქნება გააზრებული. ბავშვი უკეთ ხედავს, რომ ესა თუ ის საგანი მხოლოდ ნიშნისათვის არ სჭირდება. ” ; „ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მოვლენათა მრავალმხრივი ანალიზი, ამ გზით მოახერხებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას“;

„აუცილებელია, რადგან ცოდნა უნდა გადაიზარდოს სააზროვნო უნარებში. მოსწავლეს უნდა შეეძლოს მიღებული ცოდნის გათვალისწინებით გადაწყვეტილებების მიღება“;

„ინტეგრირებული გაკვეთილი ხელს უწყობს ნასწავლი მასალის გააზრებას, აყალიბებს ანალიტიკური მსჯელობის უნარს და უფრო პროდუქტიულს ხდის ნებისმიერი საგნის შესწავლის პროცესს. ასევე, კარგად აჩვენებს მოსწავლეს აკადემიური საგნების ერთმანეთთან კავშირს და ამ საგნების სწავლების აუცილებლობას, რაც მოტივაციასაც მნიშვნელოვნად ზრდის და სწავლების პროცესს უფრო საინტერესოდ წარმოაჩენს“;

**4) რას მიიჩნევთ ინტეგრირებული გაკვეთილის უპირატესობად?**

პედაგოგთა მოსაზრებით, ინტეგრირებული გაკვეთილი ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლებას, პრობლემის ფართო სპექტრში დანახვას. დადებით ეფექტად სახელდება ასევე ცოდნის სისტემაში მოყვანა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირება.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ :

„ინტეგრირებული გაკვეთილი უბიძგებს მოსწავლეს, აღიქვას სამყაროს მთლიანობის პრინციპი. ეხმარება, ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა საგნის ინფორმაცია, შეძლოს მიღებული ცოდნის ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ამ ტიპის გაკვეთილი ავთარებს კოგნიტურ უნარებს“;

„ამ დროს მოსწავლე იღებს სრულყოფილ ცოდნას და მისი გონებრივი შესაძლებლობები არ ვითარდება ცალმხრივად, მხოლოდ ერთი მიმართულებით“;

„მოსწავლე სხვადასხვა საგნის ურთიერთკავშირს უფრო თვალნათლივ ხედავს და მას შეუძლია მიღებული ცოდნის სინთეზი. კვლევისა და ანალიზის უნარს უყალიბებს, ასევე ეხმარება მომავალი პროფესიის არჩევაში (ან უღვივებს ინტერესს ამა თუ იმ საგნის ან პროფესიის მიმართ)“ ;

„მოსწავლეს ასწავლის, რომ მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში, სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა დროს“;


„ინტეგრირებული გაკვეთილის უპირატესობაა ის, რომ მომიჯნავე საგნებში მიღებული ცოდნა ერთმანეთს უკავშირდება, იგეგმება სწავლების მეთოდები, იზრდება კოლეგებს შორის თანამშრომლობა, ასევე, მოსწავლეთა უნარების არსენალი“;

„ინტეგრირებული გაკვეთილი ემსახურება სხვადასხვა უნარისა და სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინიდან ცოდნის შეჯერებას. ეს კი ჰიპოთეტური აზროვნებას ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც საკითხისისადმი მრავლმხრივ დამოკიდებულებას აჩენს და იცავს სტერეოტიპებისაგან“;

„სახალისოა, ავითარებს კვლევა-ძიების უნარს“ .

5) თქვენ თუ ჩაგიტარებიათ ინტეგრირებული გაკვეთილი?

6) რამდენი ინტეგრირებული გაკვეთილი გაქვთ ჩატარებული?



დიაგრამა 3

კვლევის მონაწილე 51 პედაგოგიდან 24-ს არასოდეს ჩაუტარებია ასეთი გაკვეთილი. დანარჩენი 27-დან უმეტესობის მაჩვენებელი არ აღემატება ხუთს, თუმცა გვხვდება რამდენიმე, რომელთაც ათზე მეტი ინტეგრირებული გაკვეთილი აქვთ ჩატარებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, რესპონდენტთა უმეტესობას 20 წელზე მეტი სამუშაო გამოცდილება აქვს, შესაბამისად მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

#### **7) რომელ საგანთან/საგნებთან დაამყარეთ კავშირი?**

ქართულის მასწავლებლები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად ისტორიასთან აკავშირებენ თემას. გამოიკვეთა ასევე სამოქალაქო განათლებასთან, ხელოვნებასთან, უცხო ენასთან დაკავშირების ტენდენციაც. ნაკლებად გამოვლინდა კავშირი არაჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში დასახელდა მათემატიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ქიმია.

#### **8) რა იყო გაკვეთილის თემა/თემები?**

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებელთა უმეტესობის მიერ შერჩეული თემები ერთმანეთს რამდენჯერმე დაემთხვა. გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირია ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება თემაზე „თორნიკე ერისთავი“. აკაკი წერეთლის ეს პოემა ნამდვილად საჭიროებს ისტორიულ ექსკურსს და, შესაბამისად, ინტეგრირებული გაკვეთილი ჩატარდა ისტორიის მასწავლებელთან ერთად.

„ისტორიაში დაიგეგმა გაკვეთილი, რომლის მთავარი თემაც გახლდათ დავით კურაპალატის ეპოქა და აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“. მოსწავლეებმა წარმოდგინეს რეფერატები, ერთმანეთს დაუკავშირეს მხატვრული ნაწარმოები და ისტორიული რეალობა, იმსჯელეს ეპოქალურ მოვლენებზე, გამოკვეთეს ათონის მთის როლი ქართული კულტურის, სახელმწიფოებრიობის განვითარებაში”.

ამ ჭრილში შესაძლოა განვიხილოთ აკაკის კიდევ ერთი ნაწარმოები „განთიადი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნა, ყველაზე ხშირია ისტორიასთან ინტეგრაცია. პედაგოგები გაკვეთილის ამ მოდელისათვის ირჩევენ შემდეგ თემებს :

1. „მოგზაურობა აფრიკაში” (ნუგზარ შატაიძე);
2. „ჯრუჭის ოთხთავი”;
3. „ხელნაწერების კვალდაკვალ”;

4. „ცოტნე დადიანი” (შოთა ნიშნიანიძე);
5. „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო” (მ.ლევანიძე);
6. „25 თებერვალი” (კოლაუ ნადირაძე);
7. „ხმა კატამონთან” (ირაკლი აბაშიძე);
8. „ბაში-აჩუკი - ბახტრიონის ომი” (აკაკი წერეთელი);
9. „დამოკიდებულებები ქვეყნისადმი - ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი”;
10. „ბედი ქართლისა - საქართველოს რუსეთთან შეერთება” (ნიკოლოზ ბარათაშვილი);
11. „ბოშები - საქართველო და დიდი სამამულო ომი” (ნოდარ დუმბაძე);
12. „დიდი იოსები - გასაბჭოება” (კონსტანტინე გამსახურდია);
13. „ქრისტიანობის გავრცელების ასახვა წმინდა ნინოს ცხოვრებაში”;
14. „ჰაგიოგრაფიული ტექსტები, როგორც ისტორიული წყარო”;
15. „კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები და სახეობები”;

საინტერესოდ დაუკავშირდა ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მასალა სამოქალაქო განათლებასაც. მასწავლებლებმა ნაწარმოებების კონკრეტული პასაჟები განიხილეს სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების კუთხით. მაგალითად:

1. „ტოტალიტარული მმართველობა და ავტორიტეტი” (დათა თუთაშხიას ერთ-ერთი პერსონაჟის, არქიფო სეთურის, მაგალითზე);
2. „- უჩინარი ბავშვები - სოციალურად დაუცველი ბავშვების პრობლემატური საკითხი” („სარჩობელაზედ, „მოგზაურობა აფრიკაში”);
3. „სიცოცხლის უფლება ყველას უფლებაა!” („სარჩობელაზედ”, „ადამიანი გაზეთის სვეტში”);
4. „ნარკომანია და მათხოვრობა” („მოგზაურობა აფრიკაში”);
5. „დანაშაულისა და სასჯელის საკითხი” („მაწანწალა და ფერია”);
6. „გულგრილობა, დანაშაული და სასჯელი” („სარჩობელაზედ”).

რესპონდენტები გვეუბნებიან, რომ ქართული ენის გრამატიკის სწავლებისათვის ხშირად მიმართავენ უცხო ენების მაგალითს. თუმცა, კავშირი მყარდება სხვა



კუთხითაც, მაგალითად: „ინგლისურში დაიგემა ერთობლივი, ინტეგრირებული პროექტი. პროექტის თემა გახლდათ ნოველა და ინგლისური ნოველების ქართული თარგმანები. მოსწავლეებმა შეისწავლეს ნოველის ჟანრის მახასიათებლები, ასევე გაეცნენ თარგმანებს, მოამზადეს საკუთარი ნამუშევრები”.

თარგმანების თვალსაზრისით საინტერესო თემა იყო „რომანტიზმი ევროპასა და საქართველოში”. მოსწავლეებმა გაიაზრეს ისტორიული კონტექსტი და კრიტიკულად განიხილეს თარგმანების საკითხიც.

ერთ-ერთი ინტეგრირებული გაკვეთილის შინაარსი იყო „ბურების ომი”. ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული ნიკო ბაგრატიონის „ბურებთან” მოსწავლეებმა განიხილეს ბრიტანეთის ისტორიის ჭრილში.

რაც შეეხება სხვა საგნებს, გამოკითხვებმა სასწავლო მასალა დაუკავშირეს მუსიკასა და ხელოვნებას. მაგალითად, ერთი-ერთი გაკვეთილის თემა იყო „მუსიკად ქცეული ლექსები”.

ასევე, მოსწავლეებმა შექმნეს იგავების ილუსტრაციები, დახატეს ლუარსაბისა და სხვა პერსონაჟთა პორტრეტები „ჩემი თვალთ დანახული პერსონაჟის” თემის ირგვლივ.

როგორც აღვნიშნე, რესპონდენტები ძალიან იშვიათად ავლენენ საგანთშორის კავშირებს არაჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთს ჩაუტარებია ინტეგრირებული გაკვეთილი ქიმიასთან, თემაზე „ვეფხისტყაოსანი და ძვირფასი ქვები” .

## **9) რა იყო თქვენი მიზანი/მიზნები?**

ინტეგრირებული გაკვეთილის, როგორც მოდელის, ჩატარების მიზნებად მასწავლებლები ასახელებენ შემდეგს :

- მოსწავლეთა კოგნიტური უნარების განვითარება ცოდნის ტრანსფერის გზით;
- ფაქტების დაკავშირება და მსჯელობისა და დაკვირვების უნარების განვითარება;
- ტექსტების/ინფორმაციის გაცნობა, მხატვრულ მხარეზე მუშაობა, ისტორიულ კონტექსტში განხილვა;

- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების პოვნა, ანალიზისა და მსჯელობის უნარების განვითარება;
- საგანთმორისი ცოდნის განმტკიცება, პრობლემების განზოგადების უნარის ჩამოყალიბება;
- არსებულ პრობლემათა გააზრება, გაცნობიერება, მიზეზთა დადგენა და შესაძლო გადაჭრის გზების ძიება;
- ტექსტების სიღრმისეულად გააზრება, ინფორმაციის მოძიება, შეძენილი ცოდნის დაკავშირება მომიჯნავე საგანთან, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- პერსონაჟთა ქცევის მოტივის განსაზღვრის საფუძველზე მასალის ათვისება, ცოდნის ტრანსფერი;
- განზოგადებული დასკვნების გამოტანა;
- კოგნიტური უნარების განვითარება;
- ცოდნის გაღრმავება.

რაც შეეხება უშუალოდ კონკრეტულ სასწავლო საგნებთან ინტეგრაციას, მათი მიზნები ასე ჩამოყალიბდა:

- რეგიონის უკეთ გაცნობა და ისტორიულ - გეოგრაფიული ძეგლების კავშირის დანახვა ლიტერატურულ ტექსტებთან;
- ლიტერატურულ ტექსტზე ილუსტრაციების შექმნა;
- ისტორიული სინამდვილისა და ქართული ლიტერატურის განვითარების უწყვეტი კავშირის ჩვენება და თანამედროვე ისტორიული პროცესების ამოცნობა;
- კავშირის დანახვა ევროპასა და საქართველოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, უცხოური პოეზიის თარგმანზე დაკვირვება და ორიგინალური თარგმანის შექმნა;
- ისტორიული ფაქტებისა და მწერლის მხატვრული ოსტატობის გარჩევა;
- ლიტერატურის მასშტაბურობასა და გამოხატვის შესაძლებლობებში დარწმუნება;
- ეპოქისა და მწერლის ხედვის გამიჯვნა, ფართო ხედვის განვითარება;

- მოვლენათა კულტურულ-ისტორიული ანალიზი.

#### 10) ვინ იყო ინიციატორი?

ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების ინიციატორი უმეტეს შემთხვევაში (65%) თავად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ. ხშირად გაკვეთილი კოლეგათა ერთობლივი გადაწყვეტილებით დაიგეგმა. სახელდება ასევე რესურსცენტრის მოთხოვნა და ინიციატივაც.

#### 11) რამ განაპირობა ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა?

რესპონდენტთა უმეტესობისათვის იდეის მიმცემი გახდა გადამკვეთი თემები, თუმცა რამდენიმე მათგანისათვის ამოსავალი იყო კოლეგებთან თანამშრომლობის სურვილი .

ასევე მივიღეთ პასუხები:

„კოლეგებთან შეხვედრისას, აზრისა და იდეების გაზიარებამ განაპირობა მოცემული თემის ერთობლივად შესწავლა - ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა“;

„ეპოქის გააზრების პრობლემამ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის პროცესში“;

„კლასმა, რომელსაც ვასწავლიდით და ინტერესმა, როგორ შედეგზე გავიდოდით“;

„ვფიქრობდით, საინტერესო შედეგს მოგვცემდა ჩემი და ჩემი კოლეგის ერთობლივი პროდუქტი, რადგან ერთ-ერთი პირველები ვიყავით ინოვაციური გაკვეთილების ჩატარების კარიბჭესთან“.

#### 12) ერთი კლასის ფარგლებში, რამდენად გაძლევთ საშუალებას პროგრამის შინაარსი, რომ ჩაატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილები?

ამ კითხვაზე ისეთი განსხვავებული პასუხები მივიღეთ, მკაფიო სურათის დანახვა გაგვიჭირდა. მაგალითად, 60 % ფიქრობს, რომ ამ მხრივ პრობლემა არაა და პროგრამის შინაარსი ხშირად იძლევა ამის საშუალებას, 35 %-ის აზრით კი, ამის შესაძლებლობა იშვიათია. გამოკითხულთა 5 % მიიჩნევს, რომ თანხვედრა ძალიან იშვიათია და ამ მხრივ პროგრამები დასახვეწია.

#### 13) თქვენი აზრით, ტარდება თუ არა ცოდნის ტრანსფერისათვის საჭირო რაოდენობის ინტეგრირებული გაკვეთილები? თუ არა, რა არის ამის მთავარი მიზეზი?

რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ცოდნის ტრანსფერის უნარის განვითარებისათვის საჭირო ინტეგრირებული გაკვეთილები არ ტარდება. ისინი მიზეზებად ასახელებენ გადატვირთულ პროგრამებსა და მათ შინაარსებს, ასევე, სახელმძღვანელოთა სტრუქტურას. ხშირად სახელდება ასევე დროის დეფიციტი, დაგეგმვისათვის საჭირო დროის უქონლობა და გაკვეთილების განრიგის მოუქნელობა, მასწავლებელთა გადატვირთული საგაკვეთილო ბადა.

მასწავლებლები საუბრობენ ასევე კოლეგებს შორის მუდმივი თანამშრომლობის კულტურის არქონაზე, კომუნიკაციის ნაკლებობაზე. რამდენიმე მათგანი მიიჩნევს, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებს და დამატებითი დრო მუშაობისთვის არ აქვთ. ზოგიერთის აზრით, ეს უკავშირდება დაბალ მოტივაციას, მასწავლებელთა სიზარმაცესა და უინტერესობას, ასევე კომპეტენციის დაბალ დონეს.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილის არ ან ვერჩატარების პრობლემა უკავშირდება სქემით გათვალისწინებულ შეზღუდვებს. ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარება სათანადოდ არ არის წახალისებული სქემაში, შესაბამისად, მასწავლებლებს ურჩევნიათ სხვა ფორმის არჩევა.

მიზეზად სახელდება ასევე სასწავლო პროცესის არასრულყოფილი დაგეგმვა, პედაგოგთა შიში სიახლის მიმართ და რესურსების უქონლობა.

მასწავლებელთა დაახლოებით 15 % მიიჩნევს, რომ საჭირო რაოდენობის ინტეგრირებული გაკვეთილები ტარდება.

ამრიგად, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე ინტეგრირებულ გაკვეთილთა ჩატარების რაოდენობა ძალიან მცირეა. კავშირებს მასწავლებლები ძირითადად მომიჯნავე დისციპლინებთან ამყარებენ და ამ მხრივ არაკუმანიტარული საგნები თითქმის იგნორირებულია. ისტორიისა და ლიტერატურის ერთმანეთთან დაკავშირება კი სიახლეს არ წარმოადგენს და არც ორიგინალობით გამოირჩევა.

ვფიქრობდით, გამოიკვეთებოდა სხვაობა კერძო და საჯარო სკოლების მაჩვენებლებს შორის, თუმცა რაიმე ტენდენცია არ გამოიკვეთა. როგორც აღვნიშნეთ, გამოვკითხეთ 26 კერძო სკოლის მასწავლებელი. კვლევამ აჩვენა, რომ 13 მათგანს ჩაუტარებია ინტეგრირებული გაკვეთილი, 13-ს - არა. საჯარო სკოლის მაჩვენებელი

დიდად არ განსხვავდება. გამოკითხული 25 პედაგოგიდან, კითხვაზე დადებითი პასუხი 15-მა გაგვცა, უარყოფითი კი - 10-მა.

რაც შეეხება მიზეზებს, ვფიქრობთ, პედაგოგებს პროგრამამ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი. ხშირ შემთხვევაში, სასწავლო საგნების გადამკვეთი შინაარსები ერთმანეთს დროში არ ემთხვევა, მაგრამ ეს გადამწყვეტ ფაქტორად არ მიგვაჩნია. აქ ისევ იკვეთება სასწავლო პროცესის არასრულფასოვანი წინასწარი დაგეგმვის თემა. ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის წლის დასაწყისში ერთობლივად უნდა დაიგეგმოს და დროში გაიწეროს, გადანაცვლდეს პროგრამით განსაზღვრული მასალა. ეს თემა კი ისევ უკავშირდება მასწავლებელთა დაბალ მოტივაციას, არაკოლეგიალურ გარემოსა და არასაკმარის წახალისებას.

ჩვენი აზრით, მასწავლებელთა უმეტესობას კარგად აქვს გააზრებული ინტეგრირებული გაკვეთილების როლი და მნიშვნელობა, მაგრამ ეს ჩატარებული გაკვეთილების ამსახველ სტატისტიკაში არ ჩანს. გამოვლინდა, რომ რესპონდენტებს, რომლებიც ცოდნისა და უნარების ტრანსფერს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, არასდროს ჩაუტარებიათ ამგვარი გაკვეთილი. ეს კი ნამდვილად დასაფიქრებელი საკითხია. რასთან გვაქვს საქმე? კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვისაუბროთ იმაზე, რომ ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობა საკმარისად არ არის დაფასებული. ვფიქრობთ, რომ მას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და, შესაბამისად, წახალისდეს სამინისტროს მიერ.

## დასკვნები

- აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნების ფორმათა განვითარებისათვის, საბაზო საფეხურზე ხშირად უნდა მივმართოთ ინტეგრირებული გაკვეთილის მოდელს, რადგანაც ეს არის სენსიტიური პერიოდი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამ საფეხურზე, მეტია საგნობრივი კონტენტი, შესაბამისად, მასწავლებელს ინტეგრაციისათვის მეტი სფერო და გასაქანი აქვს.
- საგანთა შორის „ენობრივი ხიდების“ აგებისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ ენა, როგორც შემეცნებისა და თვითგამოხატვის ინსტრუმენტი, იქცეს მრავალმხრივი დაკვირვების ობიექტად. გამომდინარე იქედან, რომ ქართული სწავლა - სწავლების ენაცაა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის ინტეგრაციას.
- ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეტი ყურადღება მიექცა „სასწავლო თემებს“. საგნობრივი პროგრამები თემის სახით სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ეს საგანთშორისი ინტეგრაციის საწყისი ეტაპიც შესაძლოა იყოს.
- რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში საკმარისად არის ყურადღება გამახვილებული ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობაზე. გამონაკლისია მოთხოვნა პრაქტიკოსი მასწავლებლის მიმართ.
- საბაზო ან/და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტშიც (რომელშიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული ცოდნის, სწავლების მეთოდების, სასწავლო პროცესის წარმართვისა და შეფასების მუხლები) და მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარშიც ყურადღება საკმარისად არის გამახვილებული საგანთშორისი კავშირების დამყარების აუცილებლობაზე.

- ჩვენი მოსწავლეების წიგნიერების დონე მკვეთრად დაბალია სხვა ქვეყნის მოსწავლეთა მაჩვენებლებთან შედარებით, რაც მიუთითებს სისტემის ხარვეზზე. ყურადღება საკმარისად არ გვაქვს ფოკუსირებული აზროვნების სწავლებაზე, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებასა და უნარების, ცოდნის ტრანსფერის შესაძლებლობაზე.
- პრაქტიკულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებსაც როდესმე ჩაუტარებიათ ინტეგრირებული გაკვეთილი, ძალიან ცოტათი უსწრებს მათ რიცხვს, ვისაც მთელი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე არასდროს მიუმართავს გაკვეთილის ამგვარი მოდელისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გამოკითხულთა საშუალო სამუშაო გამოცდილება 20 წელია, ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. მათ შორისაც კი, რომლებმაც კითხვაზე დადებითი პასუხი გაგვცეს, აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ორი ან სამი ინტეგრირებული გაკვეთილი აქვთ ჩატარებული.
- რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ხშირად ხვდება მოსწავლეებში საკითხის მრავალმხრივი გააზრებისა და საგანთშორისი კავშირების ვერდანახვის პრობლემას, შესაბამისად, საჭიროა ინტეგრირებული გაკვეთილების რაოდენობის ზრდა.
- გამოკითხულთა უმეტესობა ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამას უკავშირებს მომიჯნავე დისციპლინებს. ფაქტობრივად, არ ჩანს მიმართებები ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებთან.
- გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ცოდნის ინტეგრაციის საკითხი, თუმცა მისი პრაქტიკაში რეალიზება იშვიათად ხდება.
- რესპონდენტთა უმრავლესობა ამის მიზეზად ასახელებს გადატვირთულ პროგრამებსა და მათ შინაარსებს, ასევე, სახელმძღვანელოთა სტრუქტურას, დაგეგმვისათვის საჭირო დროის უქონლობას, გაკვეთილების განრიგის მოუქნელობას, მასწავლებელთა გადატვირთული საათობრივ ბადას.
- მასწავლებლები საუბრობენ ასევე კოლეგებს შორის მუდმივი თანამშრომლობის კულტურის არქონაზე, კომუნიკაციის ნაკლებობაზე. რამდენიმე მათგანი მიიჩნევს, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებს და

დამატებითი დრო მუშაობისთვის არ აქვთ. ზოგიერთის აზრით, ეს უკავშირდება დაბალ მოტივაციას, მასწავლებელთა სიზარმაცესა და უინტერესობას, ასევე კომპეტენციის დაბალ დონეს.

- რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ინტეგრირებული გაკვეთილის არ ან ვერჩატარების პრობლემა უკავშირდება სქემით გათვალისწინებულ შეზღუდვებს. ამ ტიპის გაკვეთილის ჩატარება სათანადოდ არ არის წახალისებული სქემაში, შესაბამისად, მასწავლებლებს ურჩევნიათ სხვა ფორმის არჩევა.
- მიზეზად სახელდება ასევე სასწავლო პროცესის არასრულყოფილი დაგეგმვა, პედაგოგთა შიში სიახლის მიმართ და რესურსების უქონლობა.
- ინტეგრირებული გაკვეთილების მნიშვნელობა საკმარისად არ არის დაფასებული. ვფიქრობთ, რომ მას უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და შესაბამისად წახალისდეს სამინისტროს მიერ.



## რეკომენდაციები

- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მომუშავე პედაგოგთა უმეტესობა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს ატარებს, საჭიროდ მიგვაჩნია, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს დაემატოს მოთხოვნები ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ან/და დაგეგმვის თვალსაზრისითაც.
- ✓ რესპონდენტები ამბობენ, რომ ხშირად აწყდებიან მოსწავლეებში საგანთშორისი კავშირების ვერდანახვის პრობლემას, ამიტომაც ყურადღება მეტად უნდა გამახვილდეს ამ მიმართულებით.
- ✓ გამოიკვეთა ქართული ენისა და ლიტერატურის მხოლოდ მომიჯნავე დისციპლინებთან დაკავშირების ტენდენცია. საჭირო გვგონია, ამ მხრივ გაძლიერდეს კავშირები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთანაც.
- ✓ მიგვაჩნია, რომ სათანადოდ უნდა წახალისდეს ინტეგრირებულ გაკვეთილის ჩატარება და მიენიჭოს გარკვეული პრიორიტეტი, რადგანაც მას ხშირად გვერდს უვლიან.
- ✓ წლის დასაწყისში მთელი სემესტრი უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მაქსიმალურად მიექცეს ყურადღება ინტეგრირებულ გაკვეთილებს.
- ✓ უნდა განიტვირთოს სასკოლო პროგრამები, სახელმძღვანელოთა სტრუქტურასა და შინაარსში ყურადღება გამახვილდეს საგანთშორისი კავშირებზე.
- ✓ გაკვეთილების განრიგი ამ მხრივ უნდა გახდეს მეტად მოქნილი, მასწავლებელთა გადატვირთული საგაკვეთილო ბადაე უნდა განიტვირთოს, რათა მათ მეტი დრო ჰქონდეთ დაგეგმვისათვის.
- ✓ შემუშავდეს კოლეგებს შორის მუდმივი თანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბების მექანიზმები.
- ✓ გამომდინარე იქიდან, რომ რესპონდენტების უმეტესობა მიიჩნევს, ინტეგრირებული გაკვეთილის არ/ვერჩატარების პრობლემა უკავშირდება მასწავლებელთა დაბალ კომპეტენციას, საჭიროდ მიგვაჩნია, ამ მხრივ, დაიგეგმოს მეტი განმავითარებელი აქტივობა.

- ✓ როგორც წარმატებული ქვეყნების მაგალითიდანაც დავინახეთ, საჭიროა პედაგოგთა მომზადების პოლიტიკის ცვლილებაც. უნივერსიტეტების პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს მასწავლებელთა მრავალმხრივ სპეციალიზებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკურაძე ბ., დისეტრაცია - სიმრავლეთა და ალბათობის თეორიის ელემენტების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე , ქუთაისი, 2010 .
2. ბოჭორიშვილი მ., პრაქტიკული პედაგოგიკა: როგორ დავგეგმოთ და ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი?  
<http://mastsavlebeli.ge/uploads/mananabochorishvili.pdf>
3. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 .
4. გორგოძე ს., ჯანაშია თ., (მთარგმნელები) კრიტიკული და შემოქმედებით აზროვნება, წარმოსახვითი განათლება, თბილისი, 2012
5. დიუი ჯ., გამოცდილება და განათლება  
<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/jon-diui.pdf>
6. დოლიძე თ., მეგობარი გაკვეთილები: მულტიდისციპლინური მოდელის შესახებ  
<http://mastsavlebeli.ge/?p=21318>
7. ეროვნული სასწავლო გეგმა  
<http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%92%20-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%207%20%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C.pdf>
8. თოფურია ა., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991, 446.
9. ლობჯანიძე ს., როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი?  
<http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf>
10. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1981, 293.
11. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2665266;?publication=0>
12. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი 2.
13. მაჭარაშვილი ნ., ეფექტური სწავლების ტექნოლოგიები და სტრატეგიები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 122

14. მელიქიშვილი მ., ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი , 2012
15. ოსიაშვილი ქ., „რატომ გვჭირდება ინტეგრირებული გაკვეთილი“, 2017  
<http://mastsavlebeli.ge/?p=14304>
16. სიხარულიძე გ., ქართული პედაგოგიკის ისტორია, გამომცემლობა „ განათლება“, 1974, 287
17. ფირჩხაძე მ., ცოდნის ფორმირება , იდეათა მოწესრიგება და სასკოლო პრაქტიკა, 2013  
<http://mastsavlebeli.ge/?p=2439>
18. მიძიგური ლ., ინტეგრირებული გაკვეთილი: გადაწყვეტილებათა მოკვლევა, ძიება , პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი, 2 (22), თბილისი, 2005.
19. Drake, Susan M., Rebecca C.Burns.2004. Meeting standards through integrated curriculum. Alexandria: ASCD
20. Historical overview  
[https://www.opf.fi/english/education\\_system/historical\\_overview](https://www.opf.fi/english/education_system/historical_overview)
21. Integrated Studies: A Short History, 2011  
<https://www.edutopia.org/integrated-studies-history>
22. Kaleidoscopic Learning: An Overview of Integrated Studies, 2008  
<https://www.edutopia.org/integrated-studies-interdisciplinary-learning-overview>
23. Teacher education in Finland  
[https://www.opf.fi/english/education\\_system/teacher\\_education](https://www.opf.fi/english/education_system/teacher_education)
24. Why Should Schools Embrace Integrated Studies?: It Fosters a Way of Learning that Mimics Real Life, 2008  
<https://www.edutopia.org/integrated-studies-introduction>

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Psychology and Educational Science

Master's program "Teacher education"

**Dochviri Ia**

**Practical research of integrated lessons at secondary school  
(based on Georgian language and literature)**

A thesis submitted to get the academic degree of Master of Teacher Education

Master's thesis advisor: Zakaria Kitiashvili  
Associate Professor of Faculty of Psychology and  
Educational Sciences at TSU,  
Doctor of pedagogical Sciences

Tbilisi

2019